

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

### რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

#### კარი I ზოგადი დებულებანი

#### თავი I აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის საფუძვლები

##### მუხლი 1

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომ – უმაღლესი საბჭო), რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მის წინაშე ანგარიშვალდებულ ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას, ასევე ახორციელებს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით (შემდგომ – რეგლამენტი) მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. უმაღლესი საბჭო, როგორც აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესის გამომხატველი სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმური ორგანო, შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 1991 წელს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში არჩეული იმ დეპუტატებისაგან და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეყვანილი აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრებისაგან, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების დიდი ნაწილის ინტერესებს და რომელთა უფლებამოსილება დადასტურებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 24 თებერვლის, 1995 წლის 14 ივნისის, 1996 წლის 17 აპრილისა და 1996 წლის 25 დეკემბრის დადგენილებებით.

##### მუხლი 2

უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- ა) საკითხთა თავისუფალი, კოლექტიური განხილვა-გადაწყვეტა;
- ბ) საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების, კანონების, რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების განუხრელი დაცვა, მათ შესრულებაზე კონტროლი;
- გ) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვა და პატივისცემა;
- დ) საჯაროობა.

##### მუხლი 3

1. უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, რეგლამენტი, დადგენილება, მიმართვა, განცხადება და სხვა გადაწყვეტილება, აგრეთვე მოისმინოს და ცნობად მიიღოს ინფორმაცია, შეიმუშაოს რეკომენდაციები.

2. დაუშვებელია უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის ან დადგენილების პროექტის, სხვა სამართლებრივი აქტის, ოქმის და უმაღლესი საბჭოს სხვა დოკუმენტების გადაკეთება ან გასწორება საბოლოო კენჭისყრის შემდეგ. აღნიშნული ქმედების განხორციელება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

3. უმაღლესი საბჭო მუშაობს ქართულ ან/და აფხაზურ ენაზე.

4. უმაღლესი საბჭო, მისი ორგანოები და თანამდებობის პირები თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობენ საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ რეგლამენტით.

#### **მუხლი 4**

1. რეგლამენტი არის კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომლითაც განისაზღვრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, შინაგანი სტრუქტურა, მუშაობისა და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის წესი.

2. რეგლამენტის მომზადება და მიღება ხდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მომზადებისა და მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

3. რეგლამენტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტს ხელს აწერს და აქვეყნებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

4. რეგლამენტი სავალდებულოა უმაღლესი საბჭოს ყველა წევრისათვის, აგრეთვე განსაზღვრულ ფარგლებში – უმაღლესი საბჭოსადმი ანგარიშვალდებულ ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირისათვის.

5. უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს, რომელიც მოწესრიგებული არ არის ამ რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, წყვეტს უმაღლესი საბჭო დადგენილებით.

## **თავი II**

### **უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური პრეროგატივა**

#### **მუხლი 5**

უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური პრეროგატივაა მხოლოდ მისი განსაკუთრებული უფლებამოსილება – საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებისა და კანონმდებლობის საფუძველზე, ამ რეგლამენტით დადგენილი წესითა და ფორმით განახორციელოს ამომრჩეველთა მიერ საკანონმდებლო ხელისუფლების სახით მისთვის მინდობილი უფლებები და მოვალეობები.

#### **მუხლი 6**

კანონით დადგენილ შემთხვევებში უმაღლესი საბჭოს პრეროგატივაა:

- ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვა;
- ბ) საკანონმდებლო საქმიანობა;
- გ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის (შემდგომ – მთავრობა) თავმჯდომარის მიერ წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა;
- დ) მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის დადგენა;
- ე) მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნა და გათავისუფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამის დამტკიცება მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით.
- ვ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა არჩევა, დანიშვნა, დამტკიცება, დანიშვნაზე, განთავისუფლებაზე თანხმობის მიცემა, განთავისუფლება, გადაყენება;
- ზ) უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული, პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი;
- თ) უმაღლესი საბჭოს შინაგანი სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და მუშაობის წესის განსაზღვრა;
- ი) უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება ან ვადამდე შეწყვეტა;
- კ) რეგლამენტით დადგენილი წესით უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირთა არჩევა, განთავისუფლება, გადაყენება;

ლ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და რეგლამენტით განსაზღვრული წესით უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიების ან სხდომების ჩატარება;

მ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მიღება და მისი შესრულების კონტროლი;

ნ) მთავრობისათვის სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენის მოთხოვნა და მისი მოსმენა;

ო) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, კანონით (რეგლამენტით) განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით უფლებამოსილი თანამდებობის პირების ანგარიშის მოსმენა;

პ) საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

## **მუხლი 7**

უმაღლესი საბჭოს ადგილსამყოფელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი სოხუმი, დროებითი ადგილსამყოფელია – ქ.თბილისი.

## **კარი II**

### **უმაღლესი საბჭოს სუბიექტები და მათი უფლებამოსილებანი**

## **თავი III**

### **უმაღლესი საბჭოს წევრი, უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსი**

## **მუხლი 8**

1. უმაღლესი საბჭოს ლეგიტიმურობა და უფლებამოსილება დადასტურებულია ამ რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საქართველოს პარლამენტის დადგენილებებით.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) უფლებამოსილება მოეხსნა პირადი განცხადებით;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

დ) დაიკავა უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობისა) ან ეწევა მასთან შეუთავსებელ საქმიანობას; (სსმ. ვებგვერდი, 16.04.2013. 010190030.51.060.016002)

ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ვ) არასაკატიო მიზეზით 4 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა უმაღლესი საბჭოს მუშაობაში;

ზ) გარდაიცვალა.

3. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს უმაღლესი საბჭო დადგენილებით. უმაღლესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით.

4. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს მოქალაქეს, რომლის, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის, უფლებამოსილება ვადამდე შეწყვიტა უმაღლესმა საბჭომ.

## **მუხლი 9 (სსმ. ვებგვერდი, 16.04.2013. 010190030.51.060.016002)**

1. უმაღლესი საბჭოს წევრს უმაღლესი საბჭოს დადგენილებით შეუჩერდება უფლებამოსილება მისი:

ა) სეხელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის შემთხვევაში;

ბ) დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების ან სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არჩეული ან დანიშნული იქნა სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე და რომელსაც აღნიშნულის საფუძველზე შეუჩერდა უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება, სეხელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში,

გათავისუფლებიდან 1 თვის ვადაში, მისივე მოთხოვნით, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით აღუდგება უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

3. უმაღლესი საბჭოს წევრის სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის შემთხვევაში, უმაღლესი საბჭოს იმავე დადგენილებით მას თანამდებობრივი უფლებამოსილება შეუჩერდება სხვა სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე არჩევასთან ან დანიშვნასთან დაკავშირებით.

4. მარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს წევრს უმაღლესი საბჭოს დადგენილებით აღუდგება უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება და მიეცემა შესაბამისი კომპენსაცია.

#### მუხლი 10

1. თუ უმაღლესი საბჭოს წევრი არასაპატიო მიზეზით 4 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა უმაღლესი საბჭოს მუშაობაში, შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია ინფორმაციის მეღებიდან ათი დღის ვადაში გამოარკვევს გაცდენის მიზეზს და თუ დადასტურდა, რომ მიზეზი არასაპატიოა, ამზადებს შესაბამის დასკვნას. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

2. თუ უმაღლესი საბჭოს წევრი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია აღნიშნული ფაქტის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში გამოითხოვს დოკუმენტურ მასალას, ჩამოართმევს მას ახსნა-განმარტებას და ამზადებს შესაბამის დასკვნას. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

3. თუ უმაღლესი საბჭოს წევრმა დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა, ან სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია აღნიშნული ფაქტის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში გამოითხოვს ამ ფაქტის დამადასტურებელ საბუთებს, ამოწმებს მათ ნამდვილობას და ამზადებს შესაბამის დასკვნას. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

4. თუ უმაღლესი საბჭოს წევრთა მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში გამოითხოვს განაჩენს და დაუყოვნებლივ წარუდგენს დასკვნას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

5. უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადება წარედგინება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემს მას იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია 15 დღის ვადაში ადგენს განცხადების ნამდვილობას, გარემოებას, რომელიც საფუძვლად დაედო განცხადებას და შესაბამის დასკვნას წარუდგენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

6. უმაღლესი საბჭოს წევრის გარდაცვალებისას მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება გარდაცვალების მომდევნო დღიდან. უმაღლესი საბჭოს წევრის გარდაცვალების შემთხვევაში იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია გამოითხოვს ცნობას უმაღლესი საბჭოს წევრის გარდაცვალების შესახებ და ცნობის მიღების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია აღნიშნულ ინფორმაციას მოახსენებს უმაღლეს საბჭოს მის უახლოეს პლენარულ სხდომაზე და იგი ფორმდება პლანარული სხდომის საოქმო ჩანაწერით. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

7. უმაღლესი საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობაზე უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის, დანიშვნის ან დამტკიცების შემთხვევაში იმავე დადგენილებაში აღინიშნება, რომ მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე.

8. უმაღლესი საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობაზე უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის, მთავრობის დამტკიცების შემთხვევაში (თუ მთავრობის წევრად წარდგენილია უმაღლესი საბჭოს წევრი), უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან

შეუთავსებელ თანამდებობაზე უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის, დანიშვნის ან დამტკიცებისას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია დაუყოვნებლივ შეისწავლის შეუთავსებლობის საკითხს და დასკვნას წარუდგენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

9. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხს, რეგლამენტით დადგენილი წესით შეისწავლის და განიხილავს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია, რომელიც ამზადებს დასკვნას და წარუდგენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განხილვისათვის. უმაღლესი საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭო იღებს რეგლამენტით დადგენილი წესით. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

10. ამ მუხლის პირველი, მე-2-მე-4 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მიერ წარდგენილი დასკვნის საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უმაღლესი საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. უმაღლესი საბჭო ვალდებულია დაუყოვნებლივ განიხილოს უმაღლესი საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. დაუშვებელია დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე კენჭისყრა უმაღლესი საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

## **მუხლი 11**

1. დაუშვებელია უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან სამეწარმეო საქმიანობის ან საჯარო სამსახურში რაიმე თანამდებობის შეთავსება. შეუთავსებლობის შემთხვევები განსაზღვრულია საკანონმდებლო აქტებითა და ამ რეგლამენტით.

2. სამეწარმეო საქმიანობასთან უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შეუთავსებლობის მოთხოვნები არ ხელყოფს უმაღლესი საბჭოს წევრის საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებით აღიარებულ საკუთრების უფლებას. იგი შეიძლება ფლობდეს აქციებს, წილს და სხვა ქონებას.

3. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება არა აქვს:

ა) უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად;

ბ) უშუალოდ განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო და საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი;

გ) იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ეკავოს თანამდებობა სხვა სახელმწიფო ან თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში ანდა სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოში.

4. უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ, სახელოვნებო საქმიანობას, თუ ასეთი საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას (ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება გულისხმობს სამეცნიერო, სასწავლო, სახელოვნებო დაწესებულებებში თანამდებობის პირის მიერ საკადრო, დისციპლინურ და სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას).

5. უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად შეიძლება ეწეოდეს პარტიულ საქმიანობას, ეკავოს ნებისმიერი თანამდებობა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

## **მუხლი 12**

1. უმაღლესი საბჭოს წევრი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელია, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.

2. დაუშვებელია უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა.

3. ამ რეგლამენტით დადგენილი წესით თავისუფალი მანდატი უმაღლესი საბჭოს წევრს არ ათავისუფლებს ამომრჩევლებთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან.

### **მუხლი 13**

1. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

2. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში აანალიზებს სათანადო ორგანოებიდან წარმოდგენილ ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს წევრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესახებ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეაქვს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველად. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

### **მუხლი 14**

1. უმაღლესი საბჭოს წევრი არის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ძირითადი სუბიექტი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს:

ა) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, კომისიაში (კომისიის სამუშაო ჯგუფში), ფრაქციაში საქმიანობით;

ბ) ამომრჩევლებთან შეხვედრებით, მათი მიღებით, დასმულ საკითხებზე რეაგირებით;

გ) სახელმწიფო და სხვა ორგანოებთან კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობით.

2. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციები, კანონები და ეს რეგლამენტი;

ბ) ამ რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეაგირება მოახდინოს მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებზე;

გ) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში;

დ) ხელი შეუწყოს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების, კანონებისა და ამ რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირება მოსთხოვოს უმაღლეს საბჭოს, მის თავმჯდომარეს ან შესაბამის კომისიას;

ე) იყოს უმაღლესი საბჭოს 1 კომისიის შემადგენლობაში, გარდა ამ რეგლამენტით დადგენილი გამონაკლისისა;

ვ) დაესწროს უმაღლესი საბჭოს პლენარულ, კომისიის, ფრაქციის, დროებითი კომისიის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს მათ მუშაობაში;

ზ) არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის თავისი უფლებამოსილება ან/და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა;

თ) არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ან კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაცია;

ი) დაიცვას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთათვის დადგენილი ქცევის სტანდარტები.

კ) ყოველწლიურად გაიაროს სამედიცინო და ნარკოლოგიური გამოკვლევა.

### **მუხლი 15**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 97-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს წევრს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს ამ რეგლამენტით დადგენილი წესით უფლება აქვს აირჩიოს ან არჩეულ, დანიშნულ ან წარდგენილ იქნეს უმაღლესი საბჭოს თანამდებობებზე (გარდა უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსისა), უმაღლესი საბჭოს კომისიის, დროებითი კომისიის შემადგენლობაში, გაერთიანდეს ფრაქციაში, გადადგეს ან გამოვიდეს ამ ორგანოებიდან (გაერთიანებებიდან).

3. უმაღლესი საბჭოს წევრს ასევე უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს ყველა ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) დადგენილი წესით მოსთხოვოს უმაღლესი საბჭოს აპარატს სათანადო ინფორმაცია და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა;

გ) გაცნოს უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების სხდომათა საოქმო ჩანაწერებში თავისი გამოსვლის ტექსტს, აგრეთვე მიიღოს იმ გამოსვლის ტექსტი, რომელიც არ ქვეყნდება;

დ) დაინიშნოს საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების წარმომადგენლებისაგან შექმნილ ერთობლივ საკოორდინაციო საბჭოში.

4. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით:

ა) დასვას საკითხი განსახილველად;

ბ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;

გ) მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დაუსვას მომხსენებელს, თანამომხსენებელსა და სხდომის თავმჯდომარეს, მიიღოს და შეაფასოს პასუხები;

დ) გააცნოს უმაღლეს საბჭოს მოქალაქეთა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე წერილები და მიმართვები;

ე) კამათში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს თავისი გამოსვლის ტექსტი, აგრეთვე წერილობით ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომებზე განსახილველი საკითხების თაობაზე;

ვ) მომხსენებლის ან სხდომის თავმჯდომარის მიერ მის მიერ დასმულ საკითხზე ან კითხვაზე პასუხის გაუცემლობის ან არასათანადო პასუხის გაცემის შემთხვევაში გამოხატოს საკუთარი აზრი და დააზუსტოს კითხვა;

ზ) გამოთქვას აზრი უმაღლესი საბჭოს მიერ შესაქმნელი ორგანოების, მათი პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს ან რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო.

5. უმაღლესი საბჭოს მიერ კონტროლის განხორციელებისას უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) სათათბირო ხმის უფლებით მიიღოს მონაწილეობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში და მათ წინაშე დასვას საკითხები კანონებისა და სხვა აქტების დარღვევის გამო;

ბ) კითხვით მიმართოს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებს, მიიღოს და შეაფასოს პასუხები;

გ) შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას საკითხი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესრულების შემოწმების თაობაზე;

დ) შეუზღუდავად შეხვდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა თანამდებობის პირებს;

ე) უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში.

6. უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირი ვალდებულია შეუფერხებლად მიიღოს უმაღლესი საბჭოს წევრი მისი მოთხოვნით.

7. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს განახორციელოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ რეგლამენტითა და ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

## **მუხლი 16**

1. უზრუნველყოფილია უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების პირობები.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად უმაღლესი საბჭოს შენობაში გამოეყოფა სამუშაო ფართობი, მოწყობილობა, ავეჯი, ორგტექნიკა, კავშირგაბმულობის საშუალებები.

3. უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობის ხარჯები ანაზღაურდება უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

4. უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს უმაღლესი საბჭოს აპარატი დადგენილი წესით.

5. უმაღლესი საბჭოს წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა ხორციელდება უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი IV უმაღლესი საბჭოს კომისიები

### მუხლი 17

1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადების, უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიზნით უმაღლესი საბჭო თავისი უფლებამოსილების ვადით ქმნის კომისიებს.

2. პეტიციის ან საჩივრის შესასწავლად, თუ საქმე შეეხება საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემებს შეიძლება შეიქმნას დროებითი კომისია. გადაწყვეტილებას დროებითი კომისიის შექმნის შესახებ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებით, რომელშიც უნდა მიეთითოს დროებითი კომისიის გამოსაკვლევი საკითხების წრე, დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადა (არა უმეტეს 3 თვისა), დროებითი კომისიის წევრთა რაოდენობა და წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადა.

3. უმაღლესი საბჭოსა და კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის, საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადების მიზნით და სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით კომისიას შეუძლია სამუშაო ჯგუფების შექმნა. სამუშაო ჯგუფების საქმიანობას უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატი.

### მუხლი 18

1. კომისიების საქმიანობას საერთო კოორდინაციას უწევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

2. კომისიების უფლებამოსილება, მათი შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

3. დროებითი კომისიის შემადგენლობა, უფლებამოსილება, მისი შექმნა და საქმიანობა განისაზღვრება რეგლამენტის ამ თავით დადგენილი წესით.

### მუხლი 19

1. უმაღლესი საბჭოს კომისიებია: (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

ა) დეოკუპაციის, საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომისია; (სსმ. #204,27.06.2014წ., ვებგვერდი, 03.07.2014წ. 010190030.51.060.016005)

ბ) საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია;

გ) იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია;

დ) საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისია.

2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, პრეზიდიუმს, ფრაქციას უფლება აქვთ სათანადო წერილობითი დასაბუთების წარდგენით დააყენონ ახალი კომისიის შექმნის საკითხი. უმაღლესი საბჭო აღნიშნულ საკითხს წყვეტს ამ მუხლის პირველ პუნქტში ცვლილების ან/და დამატებების შეტანის გზით, რეგლამენტის მიღებისათვის დადგენილი წესით.

### მუხლი 20

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლობისა და იმ უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში. კომისიებში წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია და ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 5 უმაღლესი საბჭოს წევრით. კომისია მუშაობას შეუდგება, თუ დანიშნულია კომისიის წევრთა მინიმალური ოდენობის ორი მესამედი და არჩეულია კომისიის თავმჯდომარე. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.



3. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წევრი. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია იყოს არანაკლებ 1 კომისიის შემადგენლობაში. უმაღლესი საბჭოს წევრის მეორე კომისიაში გაწევრიანების საკითხს განსაზღვრავს მისი ფრაქცია პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებით დადგენილი დამატებითი ადგილების რაოდენობის შესაბამისად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ შემთხვევებში უმაღლესი საბჭოს (პრეზიდიუმის) მიერ კომისიაში ფრაქციისათვის კომისიის წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში ფრაქცია თავისი გადაწყვეტილებით ნიშნავს კომისიის წევრებს, რის შესახებაც აცნობებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. კვოტების ფრაქციათა მიერ გადანაწილება ან სხვა ფრაქციისათვის გაცვლა დაუშვებელია.

5. უმაღლესი საბჭოს წევრის, რომელიც არ შედის არც ერთ ფრაქციაში, სურვილისა და კომისიის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამის კომისიაში მიღების საკითხს განიხილავს კომისია.

6. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს კომისიის შემადგენლობაში.

7. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების კომისიის შემადგენლობაში გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფრაქცია პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებით დადგენილი რაოდენობის შესაბამისად.

8. თუ ფრაქციაში განხორციელებული ცვლილებები გავლენას ახდენს კომისიაში ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია 1 კვირის ვადაში განსაზღვრავს და უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომაზე წარუდგენს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

## **მუხლი 21**

1. კომისიის თავმჯდომარეს კომისიის წევრთაგან ირჩევს უმაღლესი საბჭო ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

2. კომისიის თავმჯდომარის არჩევისას კენჭისყრა ღიაა.

3. კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ ფრაქციას ან უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ხუთკაციან ჯგუფს, კომისიის წევრთა დანიშნვიდან 7 დღის ვადაში.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში უფლებამოსილი სუბიექტები არ წარადგენენ კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას, ამ ვადის გასვლიდან 5 დღეში კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას კომისიის წევრთაგან წარადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

5. კანდიდატის დასახელების შესახებ განცხადება წარედგინება უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც ადგენს კანდიდატთა ერთიან სიას დასახელების რიგითობის მიხედვით.

6. კანდიდატთა დასახელების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე აქვეყნებს კანდიდატთა სიას. კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

7. კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

8. თუ არჩევნებში 1 კანდიდატი მონაწილეობდა და ვერ აირჩა, მაშინ ტარდება ხელახალი არჩევნები. თუ არჩევნებში 2 კანდიდატი მონაწილეობდა და ვერც ერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, მაშინ იმ კანდიდატს, რომე

9. თუ არჩევნებში 2-ზე მეტი კანდიდატი მონაწილეობდა და ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, მაშინ ტარდება არჩევნების მომდევნო ტური იმ 2 კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. თუ მომდევნო ტურში გასულმა ლმაც მეტი ხმა დააგროვა, ხელახლა ეყრება კენჭი. თუ მან ამ შემთხვევაშიც ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, ტარდება ხელახალი არჩევნები. კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, მის ნაცვლად კენჭი ეყრება მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატურას. კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას ტარდება ხელახალი კენჭისყრა. ყოველი კენჭისყრის წინ კანდიდატი უფლებამოსილია მოხსნას თავისი კანდიდატურა.

## **მუხლი 22**

1. კომისიის თავმჯდომარე შეიძლება გადააყენოს უმაღლესმა საბჭომ, ხოლო თავმჯდომარის მოადგილე – კომისიამ, თუ ამას სათანადო წერილობითი დასაბუთებით მოითხოვს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, პრეზიდიუმი, შესაბამისი კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი.

2. კომისიის თავმჯდომარის გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, ხოლო თავმჯდომარის მოადგილის შემთხვევაში – კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. კომისიის თავმჯდომარეს ამ რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა რეგლამენტით დადგენილი წესით.

## **მუხლი 23**

1. კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განაცხადოს თავისი გადადგომის შესახებ. შესაბამისი განცხადება წარედგინება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც მას გააცნობს უმაღლეს საბჭოს. კომისიის თავმჯდომარე გადამდგარად ითვლება განცხადების პრეზიდიუმისათვის წარდგენის დღიდან.

2. უმაღლესი საბჭო ცნობად იღებს კომისიის თავმჯდომარის განცხადებას, რაც ფორმდება პლენარული სხდომის საოქმო ჩანაწერით.

## **მუხლი 24**

1. კომისიის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში უმაღლესი საბჭო 10 დღის განმავლობაში, ამ რეგლამენტის 21-ე მუხლით გათვალისწინებული წესით ირჩევს კომისიის ახალ თავმჯდომარეს. თუ სესიის დამთავრებამდე დარჩენილია 10 დღეზე ნაკლები, საკითხი განიხილება მომდევნო მორიგი სესიის პირველივე სხდომაზე.

2. თუ ფრაქცია კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან 7 დღის განმავლობაში არ წარადგენს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას, ამ ვადის გასვლიდან 5 დღეში კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას კომისიის წევრთაგან წარადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

## **მუხლი 25**

1. უმაღლესი საბჭოს წევრი, გარდა ამ რეგლამენტის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა, ვალდებულია გაერთიანდეს 1 კომისიაში მაინც. ფრაქციის თავმჯდომარის კომისიაში გაერთიანება ნებაყოფლობითია. თუ უმაღლესი საბჭოს წევრი არ არის გაერთიანებული კომისიაში, ითვლება, რომ იგი არ ახორციელებს უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილებას, და არ მიეცემა კანონით დადგენილი გასამრჯელო.

2. კომისიის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გავიდეს კომისიის შემადგენლობიდან.

## **მუხლი 26**

1. კომისიის პირველ საორგანიზაციო სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე არჩევიდან 3 დღის ვადაში.

2. პირველი საორგანიზაციო სხდომა შეიმუშავებს კომისიის დებულებას და ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

3. პირველი საორგანიზაციო სხდომის ოქმი და კომისიის დებულება დასამტკიცებლად წარედგინება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

## **მუხლი 27**

1. კომისია თავის წევრთაგან, საკუთარი უფლებამოსილების ვადით, ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს და აცნობებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის 2 წევრს.

3. თუ არჩევნებში 2 კანდიდატი მონაწილეობდა და ვერც ერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, მაშინ იმ კანდიდატს, რომელმაც მეტი ხმა დააგროვა, ხელახლა ეყრება კენჭი. თუ მან ამ შემთხვევაშიც ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, ტარდება ხელახალი არჩევნები. თუ არჩევნებში 2-ზე მეტი კანდიდატი მონაწილეობდა და ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, მაშინ ტარდება არჩევნების მეორე ტური იმ 2 კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს.

4. თუ მეორე ტურში გასულმა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, მის ნაცვლად კენჭი ეყრება მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატურას.

5. თუ არჩევნების პირველ ტურში შეუძლებელია მხოლოდ 2 გამარჯვებულის გამოვლენა, მეორე ტურში კენჭი ეყრება იმ კანდიდატებს, რომლებმაც მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით გაიყვეს პირველი ან მეორე ადგილი.

6. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

7. თუ არჩევნების მეორე ტურში მონაწილე კანდიდატებმა ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღეს, გამარჯვებული გამოვლინდება პირველი ტურის შედეგების მიხედვით. თუ ამ წესით გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ტარდება ხელახალი არჩევნები. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევად ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება ორჯერ.

8. თუ კომისიის თავმჯდომარისა და 2 წევრის მიერ დასახელებული კანდიდატურები ვერ მიიღებენ ხმების საჭირო რაოდენობას, მათ უფლება აქვთ წარადგინონ იგივე ან სხვა კანდიდატურა. ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

## **მუხლი 28**

1. კომისიის თავმჯდომარე:

- ა) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს;
- ბ) წარმოადგენს კომისიას უმაღლეს საბჭოში და მის ფარგლებს გარეთ;
- გ) ხელს აწერს კომისიის გადაწყვეტილებებს, დასკვნებს და მისი სხდომების ოქმებს;
- დ) კომისიას ასარჩევად წარუდგენს კომისიის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას;
- ე) საერთო ხელმძღვანელობას უწევს კომისიის აპარატს;
- ვ) ყოველი წლის შედეგების მიხედვით, საშემოდგომო სესიის დაწყებისას წარუდგენს უმაღლეს საბჭოს საქმიანობის წერილობით ანგარიშს;
- ზ) ახორციელებს ამ რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

- ა) თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას;
- ბ) თავმჯდომარის დავალებით ასრულებს ცალკეულ დავალებას.

## **მუხლი 29**

კომისიის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას კომისია ავალებს მის ერთ-ერთ წევრს კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ასეთი კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის შემადგენლობიდან ორკაციან ჯგუფს.

## **მუხლი 30**

1. კომისიის წევრს უფლება აქვს თანაბარ საწყისებზე მონაწილეობდეს კომისიის მუშაობაში, განსახილველ საკითხზე გამოთქვას შენიშვნები, წინადადებები და მოსაზრებები, აირჩიოს და არჩეულ იქნეს კომისიის თანამდებობებზე, მონაწილეობა მიიღოს კომისიის სამუშაო ორგანოებში, ჰქონდეს განსხვავებული პოზიცია.

2. კომისიის წევრს ამ რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების დაუცველობის, შრომის დისციპლინის დარღვევისა და დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრება რეგლამენტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა და ეს ეცნობება შესაბამის ფრაქციას ან უმაღლეს საბჭოს.

### **მუხლი 31**

1. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) შეიმუშავებს, განიხილავს და უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომისათვის ამზადებს კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს;

ბ) მონაწილეობს უმაღლეს საბჭოში შესული კანონპროექტების განხილვა-დამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს და კანონპროექტების თაობაზე წარმოდგენილი შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველ ფურცელს გადასცემს უმაღლესი საბჭოს შესაბამის ორგანოს და თითოეული შენიშვნის ავტორს;

გ) მთავრობის დამტკიცებისას განიხილავს მთავრობის წევრთა კანდიდატურებს, ასევე იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს და რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო, და დასკვნებს წარუდგენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს;

დ) განიხილავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს და შეიმუშავებს დასკვნას;

ე) აკონტროლებს კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს უმაღლეს საბჭოს;

ვ) კონტროლს ახორციელებს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობაზე, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს უმაღლესი საბჭოს;

ზ) წყვეტს თავისი საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს;

თ) სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით;

ი) ახორციელებს ამ რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ამ რეგლამენტიდან გამომდინარე კომისიის სხვა უფლებამოსილებანი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

3. კომისია უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, შემოსული წინადადებების, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტების საფუძველზე შეიმუშავებს და კომისიის სხდომებზე იღებს მიმდინარე გეგმებს. კომისიის გეგმას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, რის შემდეგაც იგი დასამტკიცებლად გადაეცემა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

### **მუხლი 32**

უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებულნი არიან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.

### **მუხლი 33**

უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული, დანიშნული, დამტკიცებული თანამდებობის პირი, აგრეთვე თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზედაც უმაღლესმა საბჭომ თანხმობა მისცა, უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომისიამ.

### **მუხლი 34**

1. კომისია განიხილავს თავისი კომპეტენციის სფეროში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ პირთა თანამდებობაზე არჩევის, დანიშვნის, დამტკიცების ან დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხებს. აღნიშნულ კანდიდატურებთან დაკავშირებულ ინფორმაციას კომისიას აწვდის კანდიდატურის წარმდგენი.

2. კომისია უფლებამოსილია შესაბამის კანდიდატურას მოსთხოვოს წერილობითი ინფორმაცია მისი ბიოგრაფიული ცნობების, შრომითი გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის შესახებ.

3. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კომისია ამზადებს დასკვნას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ პირთა თანამდებობაზე არჩევის, დანიშვნის ან დამტკიცების ან მათ დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ. დასკვნა მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით.

4. კომისიის დასკვნა სავალდებულოა იმ პირთა კანდიდატურების თაობაზე, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს ან რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო.

5. კომისიის დასკვნა წარედგინება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც გადასცემს მას მთავრობის თავმჯდომარესა და უმაღლეს საბჭოს.

### **მუხლი 35**

1. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველად გასატან ყველა საკითხს განიხილავს შესაბამისი კომისია.

2. კომისიები, მათ გამგებლობას მიკუთვნებული დარგების მიხედვით, შეისწავლიან და აანალიზებენ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობას, იღებენ ზომებს მისი შესრულების უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ამზადებენ წინადადებებს კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ.

### **მუხლი 36**

კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე ინფორმაციის მოსმენის, კონტროლისა და შემოწმების შედეგად შეიმუშავებს დასკვნას. კომისიის დასკვნა უნდა შეიცავდეს შეფასებას და რეაგირების კონკრეტულ ზომებს. კომისია ვალდებულია თავისი დასკვნა უახლოეს სხდომაზე წარუდგინოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელსაც ეს საკითხი განსახილველად შეაქვს უმაღლესი საბჭოს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. უმაღლესი საბჭო პლენარულ სხდომაზე განიხილავს შესაბამის დასკვნას, აფასებს მას და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

### **მუხლი 37**

1. კომისიის სხდომას იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოადგილე. კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია, მაგრამ არანაკლებ თვეში 1 (ერთი) სხდომისა უმაღლესი საბჭოს სესიის პერიოდში (სესიებს შორის პერიოდში კომისია არ არის ვალდებული გამართოს სხდომა). კომისიის მორიგი სხდომა მოიწვევა წინასწარ განსაზღვრულ დროს. კომისიის მორიგი სხდომების ჩატარების დრო განისაზღვრება კომისიების თავმჯდომარეებს შორის კონსულტაციების შედეგად. კომისია ვალდებულია უმაღლესი საბჭოს ან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში გამართოს სხდომა და განიხილოს საკითხი.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაესწრონ კომისიის სხდომას და მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში. ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს ამ რეგლამენტის 156-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

4. თუ ფრაქციის მიერ დანიშნულ წევრს დროებით არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა კომისიის საქმიანობაში, მის დანიშნულ ფრაქციას უფლება აქვს აღნიშნული წევრი დროებით შეცვალოს ფრაქციის სხვა წევრით, რის შესახებაც ფრაქცია წერილობით აცნობებს შესაბამის კომისიას. ეს უფლება ფრაქციის თითოეული წევრის მიმართ კომისიის სხდომაზე არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი სესიის განმავლობაში არა უმეტეს ხუთჯერ. კომისიის წევრს, რომლის უფლებამონაცვლევც ესწრება კომისიის სხდომას, შესაბამისი კომისიის სხდომა გაცდენილად არ ეთვლება.

5. კომისიის სხდომის მასალები ურიგდება და ინფორმაცია მისი დღის წესრიგისა და თარიღის შესახებ ეცნობება კომისიის წევრებს სხდომამდე არა უგვიანეს 3 დღისა. ინფორმაცია კომისიის სხდომისა და მისი დღის წესრიგის შესახებ სხდომამდე 3 დღით ადრე განთავსდება უმაღლესი საბჭოს ინტერნეტგვერდზე.

6. გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სხდომის გახსნისათვის (უფლებამოსილების დადგენისათვის) საჭირო ხმების ნახევრისა, გარდა ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ღია კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. კომისიის რიგგარეშე სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, კომისიის სიითი შემადგენლობის ერთი მესამედის მოთხოვნით. კომისიის სხდომის თარიღი კომისიის წევრებს ეცნობება სხდომამდე არა უგვიანეს 2 დღისა.

8. კომისიის სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან კომისიის წევრის (წევრების) მოთხოვნით. დღის წესრიგიდან საკითხის მოხსნის ან დღის წესრიგში ახალი საკითხის შეტანის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

9. კომისიის სხდომა საჯაროა. განსაკუთრებულ შემთხვევაში კომისია ატარებს დახურულ სხდომას. დახურული სხდომის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

10. კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ უმაღლესი საბჭოს წევრები, მთავრობის წევრები და მოწვეული პირები.

11. კომისიის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ საზოგადოებრიობის დაინტერესებული წარმომადგენლები, რომელთაც სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მიეცემა სიტყვით გამოსვლის უფლება.

12. კომისიის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დადგენილი წესით აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

### **მუხლი 38**

1. კომისიის სხდომაზე განიხილება კომისიაში შემუშავებული და შემოსული სხვა კანონპროექტები, ინფორმაციები კომისიის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა აქტუალურ საკითხებზე, პეტიციები, მოქალაქეთა საჩივრები და განცხადებები, მთავრობის წევრთა და თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებები, ინფორმაციები.

2. კომისია იღებს რეკომენდაციას, დასკვნას, წინადადებას. კომისიის თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებას შიდასაკომისიო ორგანიზაციულ საკითხებზე.

3. კომისიის დასკვნები, როგორც წესი, წარედგინება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას ან იგზავნება დანიშნულებისამებრ.

### **მუხლი 39**

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან შესაბამისი კომისიების გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს კომისიების ერთობლივი სხდომა. ერთობლივ სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომისიები ცალ-ცალკე კენჭისყრით იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

### **მუხლი 40**

1. კომისიის საქმიანობას უზრუნველყოფს კომისიის აპარატი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი საბჭოს აპარატის მუდმივმოქმედ სტრუქტურულ ერთეულს.

2. კომისიის აპარატი:

ა) მონაწილეობს კომისიის სამუშაო გეგმების, სამუშაო გეგმით გათვალისწინებული კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომისიის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნების, შენიშვნებისა და წინადადებების მომზადებაში, კომისიის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში;

ბ) ახორციელებს საკონსულტაციო და ანალიტიკურ ფუნქციებს, ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებასა და საქმისწარმოებას;

გ) ასრულებს კანონმდებლობით, კომისიისა და უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. კომისიის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო ერთეულთა რაოდენობას კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით და უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსთან შეთანხმებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

#### **მუხლი 41**

1. კომისიებთან იქმნება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები, მუშა ჯგუფები რომლებიც შედგება შესაბამისი დარგის კომპეტენტური, სათანადო გამოცდილების მქონე, მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტებისაგან. საბჭოს შემადგენლობას ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

2. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს საჭიროების მიხედვით იწვევს კომისია. შეიძლება ჩატარდეს კომისიისა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ერთობლივი სხდომა.

### **თავი V უმაღლესი საბჭოს ფრაქცია**

#### **მუხლი 42**

1. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესები და მისი უფლებამოსილება განისაზღვრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

2. ფრაქცია არის უმაღლეს საბჭოში საქმიანობის კოორდინაციის მიზნით საერთო პოლიტიკური შეხედულებებისა და ინტერესების მქონე უმაღლესი საბჭოს წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.

3. ფრაქციის შექმნის უფლება აქვს არანაკლებ 5 უმაღლესი საბჭოს წევრს. ფრაქციის შექმნის მსურველი უმაღლესი საბჭოს წევრები შეიმუშავენ ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმასა და წესდებას.

4. ფრაქცია შექმნილად ითვლება მასში გაერთიანებული არანაკლებ 5 უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების მიღების მომენტიდან.

5. უმაღლესი საბჭოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.

6. აკრძალულია ფრაქციის შექმნა პირადი, პროფესიული, ადგილობრივი, რეგიონული ან რელიგიური ნიშნით.

7. უმაღლესი საბჭოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან.

8. ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ფრაქცია ახორციელებს შექმნის მომენტიდან.

#### **მუხლი 43**

1. ფრაქცია რეგისტრაციამდე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს.

2. ფრაქციის თავმჯდომარე ფრაქციის რეგისტრაციისთვის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს იურიდიულ და საკადრო საკითხთა კომისიის მეშვეობით მიმართავს განცხადებით, რომელშიც აღინიშნება ფრაქციის ოფიციალური სახელწოდება, მისი თავმჯდომარის, სხვა ხელმძღვანელ პირთა და წევრთა ვინაობა. განცხადებას ერთვის ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება. ფრაქციის რეგისტრაციის საკითხს დაუყოვნებლივ განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. თუ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი პირველსავე სხდომაზე არ მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას, ფრაქცია რეგისტრირებულად ითვლება იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიისთვის დოკუმენტაციის წარდგენის მომენტიდან. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება ეცნობება უმაღლესი საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომას. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

3. თუ ფრაქცია არ აკმაყოფილებს ამ რეგლამენტის 42-ე მუხლის მოთხოვნებს, მას უარი ეთქმება რეგისტრაციაზე. ფრაქციას, რომელსაც რეგისტრაციაზე უარი ეთქვა, უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების მართლზომიერების საკითხი დააყენოს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე.

4. თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში გაერთიანებული დარჩა 5-ზე ნაკლები უმაღლესი საბჭოს წევრი მას შეუზღუდად უფლებამოსილება, ხოლო თუ იგი არ შეივსო ერთი თვის ვადაში ფრაქცია გაუქმებულად ჩაითვლება, რასაც იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია აცნობებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

#### **მუხლი 44**

1. ფრაქციაში გაწევრიანების მსურველი უმაღლესი საბჭოს წევრი წერილობითი განცხადებით მიმართავს ფრაქციის თავმჯდომარეს.

2. ფრაქცია უმაღლესი საბჭოს წევრის განცხადებას განიხილავს ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

3. ფრაქციაში ახალი წევრის მიღების შესახებ ფრაქციის თავმჯდომარე 3 დღის ვადაში იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მეშვეობით წერილობით ატყობინებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

#### **მუხლი 45**

1. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, ნებისმიერ დროს გავიდეს ფრაქციის შემადგენლობიდან, რის შესახებაც 3 დღის ვადაში წერილობით ატყობინებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მეშვეობით. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

2. ფრაქციას უფლება აქვს ფრაქციის წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიიღოს ახალი წევრი ან ფრაქციიდან გარიცხოს წევრი.

3. ფრაქციიდან წევრის გარიცხვის შესახებ ფრაქციის თავმჯდომარე 3 დღის ვადაში წერილობით აცნობებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მეშვეობით. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

4. ფრაქციის თავმჯდომარისა და სხვა ხელმძღვანელი პირების არჩევის, გადაყენების, გადადგომის, ფრაქციის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების, აგრეთვე ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტებში შესწორებათა შეტანის შესახებ 3 დღის ვადაში წერილობით ეცნობება იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიასა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

#### **მუხლი 46**

1. ფრაქცია წარმომადგენლობის მეშვეობით მონაწილეობს კომისიებისა და უმაღლესი საბჭოს დელეგაციების საქმიანობაში.

2. ფრაქციის წარმომადგენელთა რაოდენობა უმაღლესი საბჭოს ორგანოებში განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებულ უმაღლეს საბჭოს წევრთა რაოდენობის პროპორციულად.

3. ფრაქციის მიერ წარდგენილი წევრი უმაღლესი საბჭოს ორგანოებში წყვეტს საქმიანობას ამ რეგლამენტით დადგენილი წესით მისი ფრაქციიდან გარიცხვის, გასვლის ან ფრაქციის მიერ ამ ორგანოებიდან მისი გამოწვევის შემთხვევაში. ფრაქციას უფლება აქვს წარადგინოს ახალი კანდიდატი, რის შესახებაც უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელი აცნობებს უმაღლეს საბჭოს.

4. ფრაქციათა გაუქმების, შეერთების ან ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში მათი პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს გადაანაწილებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. თუ ფრაქცია არ ეთანხმება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას, საკითხი წყდება უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე.

5. თუ ფრაქციას შეუმცირდა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, იგი ვალდებულია, თვითონ განსაზღვროს უმაღლესი საბჭოს ამა თუ იმ ორგანოდან თავისი წევრების გამოყვანის საკითხი.

6. პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შეცვლის შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს ორგანოებში ფრაქციის წარმომადგენლობის პერსონალურ საკითხებს წყვეტს შესაბამისი ფრაქცია.

7. ამ მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით დადგენილი წესები არ ვრცელდება იმ უმაღლესი საბჭოს წევრებზე, რომლებსაც უმაღლესი საბჭოს ორგანოებში არჩევითი თანამდებობები უკავიათ.



## **მუხლი 47**

ფრაქციის ამოცანებია:

- ა) გამოხატოს და გაატაროს საკუთარი პოლიტიკური კურსი საკანონმდებლო ორგანოში;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების საქმიანობის სრულყოფაში, ხელი შეუწყოს უმაღლესი საბჭოს წევრთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას და მათი აქტიურობის გაზრდას, აგრეთვე მათ მიერ ამ რეგლამენტის მოთხოვნათა შესრულებას;
- გ) გამოხატოს ფრაქციის შეჯერებული აზრი უმაღლესი საბჭოს კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას.

## **მუხლი 48**

1. ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა.
2. ფრაქციის სხდომათა პერიოდულობა განისაზღვრება ფრაქციის წესდებით.
3. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანილ კანონპროექტთან დაკავშირებით ფრაქცია განხილვის შემდეგ ნიშნავს გამომსვლელს, რომელიც უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე წარმოადგენს ფრაქციის პოზიციას.
4. ფრაქციის წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან ფრაქციის გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს საჯარო ან დახურული სხდომა.
5. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია:
  - ა) გადაწყვიტოს ფრაქციის გაერთიანების საკითხი;
  - ბ) ფრაქციის წესდებაში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები;
  - გ) მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვის თაობაზე;
  - დ) აირჩიოს ფრაქციის თანამდებობის პირი;
  - ე) გადაწყვიტოს ფრაქციის საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები;
  - ვ) წარადგინოს კანდიდატები უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირთა არჩევით თანამდებობაზე;
  - ზ) გადაწყვიტოს ფრაქციის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გამოყენების წესი;
  - თ) ისარგებლოს ამ რეგლამენტითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

## **მუხლი 49**

1. ფრაქციის თანამდებობის პირია ფრაქციის თავმჯდომარე.
2. ფრაქციის თავმჯდომარე:
  - ა) ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობას;
  - ბ) წარმოადგენს ფრაქციას უმაღლეს საბჭოში და მის ფარგლებს გარეთ;
  - გ) თანამდებობრივად შედის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში;
  - დ) წარმართავს ფრაქციის სხდომებს;
  - ე) ახორციელებს ფრაქციის წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. ფრაქციის ერთ-ერთი წევრი ფრაქციის თავმჯდომარის დავალებით ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებას და საჭიროების შემთხვევაში, ფრაქციის წესდებით გათვალისწინებული წესით ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობას.

## **მუხლი 50**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 97-ე მუხლის თანახმად, ფრაქციას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.
2. ფრაქციას უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ, პასუხისმგებელ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებულნი არიან უპასუხონ შეკითხვას.
3. უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული, დანიშნული, დამტკიცებული თანამდებობის პირი, აგრეთვე თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზედაც უმაღლესმა საბჭომ თანხმობა მისცა, უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს ფრაქციის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე

დასმულ შევითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს ფრაქციამ.

4. ფრაქციას უფლება აქვს კომისიისა და უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომებზე ამ რეგლამენტით დადგენილი წესით გამოთქვას თავისი მოსაზრება უმაღლესი საბჭოს მიერ ასარჩევი, დასანიშნი ან დასამტკიცებელი კანდიდატურების შესახებ ან იმ კანდიდატურების თაობაზე, რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს კამათში, მოითხოვოს პოლიტიკური დებატების გამართვა და განახორციელოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

### **მუხლი 51**

1. უმაღლესი საბჭოს აპარატი ვალდებულია ფრაქციის მოთხოვნით უმაღლესი საბჭოს წევრებს შორის გაავრცელოს ფრაქციის ოფიციალური მიმართვა.

2. ფრაქციის მიერ გავრცელებულ ყველა დოკუმენტს ხელს აწერს ფრაქციის ხელმძღვანელი პირი.

### **მუხლი 52**

1. ფრაქციის შიდაორგანიზაციული საკითხები აფახაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, ამ რეგლამენტისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად რეგულირდება ფრაქციის წესდებით.

2. ფრაქციის წესდებაში უნდა განისაზღვროს ფრაქციის შექმნისა და მის შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელების წესი, ფრაქციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და თანამდებობის პირის არჩევის წესი და კომპეტენცია, ფრაქციის წევრთა უფლებამოსილება, ფრაქციის მიზნები და ამოცანები, მისი სტრუქტურა აგრეთვე წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროცედურა.

## **კარი III**

### **უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირები**

#### **თავი VI**

### **უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირები**

### **მუხლი 53**

1. უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირები არიან:

- ა) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;
- ბ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) კომისიის თავმჯდომარე;
- დ) ფრაქციის თავმჯდომარე;
- ე) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ვ) უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

2. უმაღლესი საბჭოს წევრი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთ თანამდებობაზე, გარდა ფრაქციაში დაკავებული თანამდებობებისა.

3. უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევენ უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების საქმიანობას.

4. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირი არჩეული იქნება სხვა უმაღლესი საბჭოს შეუთავსებელ თანამდებობაზე, უმაღლესი საბჭოს იმავე დადგენილებით მას თანამდებობრივი უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება სხვა თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით.

#### **თავი VII**

### **უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე**

## მუხლი 54

1. უმაღლესი საბჭო 5 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, უმაღლესი საბჭოს წევრთაგან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს. (აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი 04.04.2014წლის #196-ს, სსმ., ვებგვერდი, 04.04.2014წ. 010190030.51.060.016003)

2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ ფრაქციას და უმაღლესი საბჭოს წევრთა ხუთკაციან ჯგუფს.

3. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატების დასახელების წერილობითი განცხადება წარედგინება უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც ადგენს შესაბამის კანდიდატთა ერთიან სიას დასახელების რიგითობის მიხედვით. კანდიდატთა დასახელების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე აქვეყნებს სიას და თანხმობას ითხოვს კანდიდატებისაგან, კენჭი იყარონ აღნიშნულ თანამდებობაზე.

4. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატს უფლება აქვს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოხსნას თავისი კანდიდატურა.

5. სხდომაზე სიტყვით გამოსვლისათვის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატს ეძლევა 20 წუთი და შესაბამისი დრო, უპასუხოს დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც იწყება კამათი.

6. ამოღებულია (აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი 04.04.2014წლის #196-ს, სსმ., ვებგვერდი, 04.04.2014წ. 010190030.51.060.016003)

## მუხლი 55

1. თუ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობდა 1 კანდიდატი და იგი არ იქნა არჩეული, ტარდება ხელახალი არჩევნები.

2. თუ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობდა 2 კანდიდატი და მათგან ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, იმ კანდიდატს, რომელმაც ხმების მეტი რაოდენობა მიიღო, ხელახლა ეყრება კენჭი. თუ მან ამ შემთხვევაშიც ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, ტარდება ხელახალი არჩევნები.

3. თუ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობდა 2-ზე მეტი კანდიდატი და მათგან ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, ტარდება არჩევნების მომდევნო ტური იმ 2 კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. თუ მათგან ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, იმ კანდიდატს, რომელმაც ხმების მეტი რაოდენობა მიიღო, ხელახლა ეყრება კენჭი. თუ მან ამ შემთხვევაშიც ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, ტარდება ხელახალი არჩევნები. თუ მომდევნო ტურში გასულმა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, მის ნაცვლად კენჭი ეყრება მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატს.

4. კენჭისყრისას ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა.

5. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატს ყოველი კენჭისყრის წინ შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა.

## მუხლი 56

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:

ა) წარმოადგენს უმაღლეს საბჭოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში;

ბ) უმაღლესი საბჭოს საქმიანობისათვის განკუთვნილ შენობაში ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს;

გ) უძღვეს უმაღლესი საბჭოს მუშაობას, საერთო ხელმძღვანელობას უწევს უმაღლესი საბჭოს ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობას;

დ) თავმჯდომარეობს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომებს, იწვევს და თავმჯდომარეობს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს, საჭიროების შემთხვევაში ამ უფლებამოსილებათა განხორციელებას ავალებს თავის ერთ-ერთ მოადგილეს;

ე) ბრძანებით განსაზღვრავს თავისი მოადგილეების საქმიანობის სფეროებს, აძლევს მათ ცალკეულ დავალებას;

ვ) ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტების მთავრობის თავმჯდომარისათვის წარდგენის მიმართვებს;

ზ) (ამოღებულია - 08.08.2014, №212) ;

თ) ხელს აწერს და აქვეყნებს რეგლამენტს, ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ აქტებს. **(სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ., 010190030.51.060.016007)**

ი) იღებს ზომებს უმაღლესი საბჭოსა და ცალკეული უმაღლესი საბჭოს წევრის უსაფრთხოებისა და მათი ღირსების დაცვის უზრუნველსაყოფად;

კ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს უმაღლესი საბჭოს აპარატისა და სხვა დამხმარე სტრუქტურების საქმიანობას;

ლ) ამ რეგლამენტით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, აპარატის უფროსის მოადგილეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საქართველოს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელს, უმაღლესი საბჭოს აპარატის შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტების უფროსებს, დეპარტამენტის უფროსის მოადგილეებს, სამსახურებისა და განყოფილებების უფროსებს; (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

ლ<sup>1</sup>) გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის და ამ რეგლამენტის 154<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად ხელმძღვანელობს გენდერული თანასწორობის საჭოს; **(სსმ.#205, 27.06.2014წ. ვებგვერდი, 03.07.2014წ. 010190030.51.060.016006)**

ლ<sup>2</sup>) გენდერული თანასწორობის საჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საბჭოს წევრებს; **(სსმ.#205, 27.06.2014წ., ვებგვერდი, 03.07.2014წ. 010190030.51.060.016006)**

მ) ნიშნავს უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელს;

ნ) განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტს და უმაღლეს საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად;

ო) ამ რეგლამენტით დადგენილი წესით წყვეტს ცალკეული უმაღლესი საბჭოს წევრისა და უმაღლესი საბჭოს დელეგაციის სხვა სახელმწიფოში მივლინების საკითხებს;

პ) ამ რეგლამენტით დადგენილი წესით წყვეტს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს;

ჟ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს;

რ) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს შენობა-ნაგებობებში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმს;

ს) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებას და სტრუქტურას, აპარატის სამტატო განრიგს, განსაზღვრავს თანამდებობრივი სარგოს და დანამატის ოდენობას;

ტ) ამ რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ შემთხვევაში წარადგენს კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატს;

უ) უფლებამოსილია დასვას საკითხი უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის ან დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის (გარდა კანონპროექტებისა) რიგარეშე განხილვისა და კენჭისყრის შესახებ;

ფ) უმაღლესი საბჭოს სახელით ანიჭებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს, მათ შორის, რწმუნებებს (მინდობილობებს) საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებში;

ქ) ამ რეგლამენტით დადგენილი წესით უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე იწვევს იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც არა აქვთ პლენარულ სხდომაზე დასწრების უფლება, აგრეთვე პლენარულ სხდომაზე დასწრების სურვილის მქონე საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს;

ღ) უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს კომისიის სხდომებში;

ყ) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს პრესკონფერენციის ჩატარებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესებს;

შ) (ამოღებულია - 08.08.2014, №212) ;

ჩ) ბრძანებით ადგენს უმაღლესი საბჭოს წევრთათვის და უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს;

ც) უმაღლესი საბჭოს აპარატის მოსამსახურეთათვის აწესებს ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებული საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის და სხვა დანამატებს;

დ) საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების წარმომადგენლებისაგან შექმნილ ერთობლივ საკოორდინაციო საბჭოში ნიშნავს/ან უმაღლეს საბჭოს დასანიშნად წარუდგენს უმაღლესი საბჭოს სამ წევრს.

ჟ) ახორციელებს ამ რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

### **მუხლი 57**

1. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, საჯაროდ განაცხადოს გადადგომის შესახებ. აღნიშნულ ფაქტს უმაღლესი საბჭო ცნობად იღებს უახლოეს პლენარულ სხდომაზე, რაც ფორმდება საოქმო ჩანაწერით.

2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გადამდგარად ითვლება საჯარო განცხადების გაკეთების მომენტიდან.

### **მუხლი 58**

1. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უმაღლესმა საბჭომ შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხი უმაღლესი საბჭოს წინაშე შეიძლება წერილობით დააყენოს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა.

2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაყენების მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს მოტივირებული.

3. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია 7 დღის ვადაში ამოწმებს უმაღლესი საბჭოს წევრთა ხელმოწერების ნამდვილობას და დასკვნას პლენარულ სხდომაზე წარუდგენს უმაღლეს საბჭოს.“. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული დასკვნის მიღების შემდეგ უმაღლესი საბჭო დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხის განხილვის დაწყების შესახებ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭო იღებს სესიაზე საკითხის განხილვის დაწყებიდან 15 დღის ვადაში.

5. თუ სესიის დამთავრებამდე დარჩენილია 1 თვეზე ნაკლები, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხი განიხილება უმაღლესი საბჭოს მომდევნო სესიაზე.

6. აკრძალულია უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიასა და სხდომაზე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაყენების პროცედურის ჩატარება.

7. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ რეგისტრაცია გაიარა უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა და წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარი დაუჭირა უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობამ.

8. თუ უმაღლესმა საბჭომ არ მიიღო გადაწყვეტილება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაყენების შესახებ, საკითხი მოხსნილად ჩაითვლება და დაუშვებელია იმავე სესიაზე აღნიშნული საკითხის განხილვა.

### **მუხლი 59**

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში უმაღლესი საბჭო 10 დღის ვადაში, დადგენილი წესით ირჩევს ახალ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ საკითხის განხილვის პერიოდში უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომები არ მიმდინარეობს ან თუ სესიის დამთავრებამდე დარჩენილია 10 დღეზე ნაკლები, საკითხი განიხილება რიგგარეშე სხდომაზე ან სესიაზე.

### **მუხლი 60**

1. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან თანამდებობიდან მისი გადაყენების ან გადადგომის გამო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შემდეგი წესებით:

ა) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით ასრულებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე;

ბ) თუ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გადადგა დაკავებული თანამდებობიდან, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით ასრულებს მისი ერთ-ერთი მოადგილე, თუ უმაღლესმა საბჭომ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო;

გ) თუ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს არ შეუძლია, თავის მოადგილეს დაავალოს თავის უფლებამოსილებათა განხორციელება, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას უმაღლესი საბჭო დადგენილებით ავალებს მის ერთ-ერთ მოადგილეს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციას.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე უმაღლესმა საბჭომ პირველსავე კენჭისყრისას ვერ მიიღო გადაწყვეტილება, განიხილება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სხვა მოადგილის კანდიდატურა და ჩატარდება კენჭისყრა.

4. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის საკითხი წყდება უმაღლესი საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომაზე.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე უმაღლესი საბჭოს სხდომას (სხდომებს) ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე.

## თავი VIII

### უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები

#### მუხლი 61

1. უმაღლესი საბჭო ამ რეგლამენტით დადგენილი წესით, თავის წევრთაგან, საკუთარი უფლებამოსილების ვადით, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს.

2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ ფრაქციას ან უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ხუთკაციან ჯგუფს.

3. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების კანდიდატურების დასახელების შესახებ წერილობითი განცხადება წარედგინება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელსაც რეგლამენტით დადგენილი წესით საკითხი შეაქვს უმაღლესი საბჭოს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

4. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დასახელებულმა კანდიდატმა ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, მისი დასახელების უფლების მქონე სუბიექტებს უფლება აქვთ წარადგინონ ახალი კანდიდატი. თუ ვერც მან მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ორივე კანდიდატს ერთად ეყრება კენჭი და არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმების მეტ რაოდენობას, მაგრამ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა. თუ ორივე კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღო, არჩეულად ჩაითვლება პირველად წარდგენილი კანდიდატი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ სუბიექტებს უფლება აქვთ გამოიწვიონ მათი წარდგენით არჩეული უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები. განცხადება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გამოწვევის თაობაზე წარედგინება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც აღნიშნულის შესახებ აცნობებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და აყენებს განსახილველად უმაღლესი საბჭოს უახლოეს სესიის სხდომაზე.

6. გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გამოწვევის შესახებ ფრაქცია ან უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ხუთკაციანი ჯგუფი იღებს ხმათა უმრავლესობით, რასაც ადასტურებენ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის წარდგენილ განცხადებაზე ხელის მოწერით.

#### მუხლი 62

1. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს შეუძლია ამ რეგლამენტის 57-ე მუხლით დადგენილი წესით გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან.

2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე უმაღლესმა საბჭომ შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან.

3. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად თანამდებობიდან გადაყენება ხდება ამ რეგლამენტის 58-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

### **მუხლი 63**

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გადადგომის, თანამდებობიდან გადაყენების ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში უმაღლესი საბჭო, როგორც წესი, არა უგვიანეს 15 დღისა ირჩევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ახალ მოადგილეს. თუ სესიის დამთავრებამდე დარჩენილია 15 დღეზე ნაკლები, საკითხი განიხილება მომდევნო სესიის პირველსავე სხდომაზე.

## **თავი IX უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

### **მუხლი 64**

1. უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედ ორგანოს წარმოადგენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც მთელ თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია მის წინაშე და ამ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციებს უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში.

2. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ორი მოადგილე, უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები და უმაღლესი საბჭოს ფრაქციების თავმჯდომარეები.

### **მუხლი 65**

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი:

- ა) იწვევს უმაღლესი საბჭოს სესიებს;
- ბ) კოორდინაციას უწევს უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობას;
- გ) კონტროლს უწევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დაცვას;
- დ) აჯილდოებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით; (სსმ, *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2015 წლის 8 აპრილის რეგლამენტი №218 - ვებგვერდი, 08.04.2015 წ.*)

ე) შედის სარჩელით ან წარდგინებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს კონსტიტუციასთან აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის თუ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლით განსაზღვრულ სხვა საკითხებზე;

ე<sup>1</sup>) განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ფულადი ანაზღაურების ოდენობას; (სსმ, N240-ს, 7 თებერვალი 2017, ვებგვერდი, 13/02/2017, 010190030.51.060.016010)

ვ) ახორციელებს ამ რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. სიგელებს აწესებს და დაჯილდოების წესს ადგენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

(სსმ, *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2015 წლის 8 აპრილის რეგლამენტი №218 - ვებგვერდი, 08.04.2015 წ.*)

### **მუხლი 66**

1. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს იწვევს და უძღვება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით – უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

2. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები სასესიო პერიოდში იმართება ყოველ ოთხშაბათს 12 საათზე, ხოლო არასასესიო პერიოდში – საჭიროებისამებრ.

3. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მოიწვიოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რიგგარეშე სხდომა საკუთარი ინიციატივით ან კომისიის, ფრაქციის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

4. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის მასალები ურიგდება სხდომამდე არა უგვიანეს 2 დღისა. პლენარული სხდომების კვირაში უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველი კანონპროექტები (თანდართული მასალებით) და სხვა საკითხები უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარედგინება შესაბამის სხდომამდე არა უგვიანეს 1 კვირისა.

5. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. იგი გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სხდომის გახსნისათვის (უფლებამოსილებისათვის) დადგენილი კვორუმის ნახევრისა.

6. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, როგორც წესი, საჯაროა. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა შეიძლება დაიხუროს, თუ ამას მოითხოვს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და მის მოთხოვნას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დახურულ სხდომაზე დამსწრე პირთა წრეს ადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი.

7. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მისი წევრის დასწრება სავალდებულოა. საპატიო მიზეზით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე ხმის იმავე უფლებით შეიძლება შეცვალოს მისმა მოადგილემ, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარე ხმის იმავე უფლებით შეიძლება შეცვალოს ფრაქციის წევრმა სათანადო დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

8. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ უმაღლესი საბჭოს წევრი, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

9. მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობის წევრს, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსს, მთავრობის წარმომადგენელს უმაღლეს საბჭოში შეუძლიათ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დააყენონ საკითხი და მონაწილეობა მიიღონ მის განხილვაში სათათბირო ხმის უფლებით. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ., 010190030.51.060.016007)

### **მუხლი 67**

1. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უმაღლეს საბჭოს ეცნობება უახლოეს პლენარულ სხდომაზე.

2. უმაღლეს საბჭოს შეუძლია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებები გააუქმოს ან ცვლილებები შეიტანოს მათში პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.

3. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმის ამონაწერები ეგზავნება ფრაქციებს, კომისიებს, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს აპარატს.

## **კარი IV უმაღლესი საბჭოს სესიები**

### **თავი X უმაღლესი საბჭოს სასესიო მუშაობის წესი**

### **მუხლი 68**

1. უმაღლესი საბჭო იკრიბება მორიგ ან რიგგარეშე სესიაზე.

2. მორიგ სესიაზე უმაღლესი საბჭო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის (თავისი უფლებამოსილებით) შესაბამისად და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით იკრიბება წელიწადში ორჯერ – საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე. საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს, ხოლო საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს



და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს. უმაღლესი საბჭოს სესია იხსნება და დახურულად ცხადდება პლენარულ სხდომაზე.

3. უმაღლესი საბჭო რიგგარეშე სესიაზე იკრიბება მხოლოდ მორიგ სესიებს შორის პერიოდში.

4. უმაღლესი საბჭოს მორიგი სესია არ საჭიროებს ოფიციალურად მოწვევას. რიგგარეშე სესია მოიწვევა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და ამ რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

5. კანონით გათვალისწინებული დასვენების (უქმე) დღეები არ იანგარიშება ამ რეგლამენტით დადგენილი ვადების ათვლის დროსაც, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა. თუ ამ რეგლამენტით დადგენილი ვადის ბოლო დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, ვადის გასვლის დღედ ითვლება შემდეგი სამუშაო დღე. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

### **მუხლი 69**

1. უმაღლესი საბჭოს სესია შედგება პლენარული და კომისიების სხდომებისაგან. საჭიროების შემთხვევაში, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მეოთხედისა, უმაღლეს საბჭოს ცვლილება შეაქვს თავისი მუშაობის განრიგში.

### **მუხლი 70**

უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია მონაწილეობდეს უმაღლესი საბჭოს სესიისა და პლენარული სხდომის მუშაობაში. უმაღლესი საბჭოს წევრი მორიგ სესიაზე ცხადდება სპეციალური მოწვევის გარეშე.

### **მუხლი 71**

1. მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით სესიებს შორის პერიოდში ან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ან/და უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარეს გადასცემს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, 24 საათის განმავლობაში, მოითხოვოს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევა, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომის მოწვევა.

2. წერილობით მოთხოვნას რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე ერთვის რიგგარეშე სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა, ხოლო რიგგარეშე სესიის მოწვევისას – სესიაზე განსახილველ სავარაუდო საკითხთა ნუსხა.

3. რიგგარეშე სესიის ან სხდომის მოწვევის აქტი გამოიცემა წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მომდევნო 48 საათში შეუდგეს მუშაობას.

4. მთავრობის თავმჯდომარე რიგგარეშე სესიას ან სხდომას მოიწვევს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 72 საათისა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ, რაც უმაღლესი საბჭოს წევრს პირადად უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 24 საათისა.

5. რიგგარეშე სესიის მოწვევისას დღის წესრიგი განისაზღვრება ამ რეგლამენტის XI თავით დადგენილი წესით. რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

6. რიგგარეშე სესიასა და სხდომაზე ვრცელდება ამ რეგლამენტის 69-ე მუხლის მოთხოვნები.

7. რიგგარეშე სესია ან სხდომა უნდა დამთავრდეს მორიგი სესიის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 დღისა. უმაღლეს საბჭოს მორიგი სესიის დღის წესრიგში შეუძლია შეიტანოს ის საკითხი (საკითხები), რომლის (რომელთა) განხილვაც ვერ დაასრულა რიგგარეშე სესიაზე.

## **კარი V**

### **უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომა**

#### **თავი XI**

### **უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგი**

## **მუხლი 72**

1. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველი კანონპროექტებისა და სხვა საკითხების ნუსხას, რომელსაც უმაღლესი საბჭოს აპარატი წინასწარ ურიგებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს შემდგომი საკომისიო განხილვისათვის გამიზნული კანონპროექტების ჩამონათვალთან ერთად, განხილვის ვადების მითითებით.

2. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განსახილველი კანონპროექტებისა და სხვა საკითხების ნუსხის საფუძველზე ადგენს უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომების დღის წესრიგის პროექტს. დღის წესრიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს პლენარულ სხდომაზე ყოველი საკითხის განხილვისათვის განკუთვნილი დრო.

3. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უფლებამოსილია უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეიტანოს საკითხი, თუ არ არის დარღვეული ამ რეგლამენტით განსაზღვრული საკომისიო განხილვის ვადები.

4. უმაღლესი საბჭოს აპარატი უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომების დღის წესრიგის პროექტს კანონპროექტებისა და სხვა საკითხების მითითებით პლენარული სხდომების დაწყებამდე არა უგვიანეს 5 დღისა უგზავნის კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს წევრებსა და მთავრობას.

## **მუხლი 73**

1. პლენარული სხდომის თავმჯდომარე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც უმაღლესი საბჭო ამტკიცებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოხდეს საკითხების თანამიმდევრობის შეცვლა ან ერთმანეთთან დაკავშირებულ ან ერთგვაროვან საკითხებზე საერთო კამათის გამართვა.

2. მთავრობა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს წევრი, ფრაქცია უფლებამოსილი არიან მოითხოვონ უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომების დღის წესრიგში იმ საკითხების შეტანა, რომლებიც უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გაუთვალისწინებია, ან მოითხოვონ ცალკეული საკითხის ამოღება, რასაც უმაღლესი საბჭო ამტკიცებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მეოთხედისა.

3. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომების დღის წესრიგთან დაკავშირებით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, უმაღლესი საბჭოს წევრს ეძლევათ სამწუთიანი სიტყვა. დროის გაგრძელების საკითხი არ განიხილება.

4. თუ მთავრობა, უმაღლესი საბჭოს წევრი, ფრაქცია მოითხოვენ უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომების დღის წესრიგში საკითხის შეტანას, სხდომის თავმჯდომარე განმარტავს დღის წესრიგში საკითხის შეუტანლობის მიზეზს, რის შემდეგაც სავალდებულოა საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. გადაწყვეტილება დღის წესრიგში აღნიშნული საკითხის შეტანის თაობაზე მიიღება კამათის გარეშე, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მეოთხედისა.

5. თუ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გვერდის ავლით უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე შეტანილია წინადადება საკითხის განხილვის თაობაზე, უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მისი მომზადებისა და უახლოეს პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის პასუხისმგებელი სუბიექტის გამოყოფის შესახებ.

## **მუხლი 74**

1. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, როგორც წესი, რიგგარეშე განიხილება საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ შემოტანილი კანონპროექტები და მიმართვები მათივე მოთხოვნის საფუძველზე.

2. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის თავმჯდომარის ინიციატივით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მეოთხედისა, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება დამტკიცებული დღის წესრიგის ფარგლებში საკითხების თანამიმდევრობის შეცვლის ან საკითხის რიგგარეშე განხილვის შესახებ ანდა განხილულ საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრის გამართვის თაობაზე.

3. თუ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე ვერ მოესწრო დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვა, ისინი გადაიტანება უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში, პირველ რიგში განსახილველად, სხდომის შეწყვეტის მომენტისათვის არსებული თანამიმდევრობით.

## თავი XII

### უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის წარმართვა

#### მუხლი 75

1. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომებს, როგორც წესი, წარმართავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. თუ იგი არ წარმართავს სხდომას, სხდომის თავმჯდომარეობა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ზეპირი ან წერილობითი ბრძანებით დაევალება მის ერთ-ერთ მოადგილეს.

2. სხდომის თავმჯდომარე:

- ა) აუწყებს უმაღლეს საბჭოს სხდომის გახსნასა და დამთავრებას;
- ბ) უძღვება საკითხების განხილვას;
- გ) უზრუნველყოფს ამ რეგლამენტის დაცვას;
- დ) ადგენს კამათში მონაწილეთა რიგითობას და სიტყვას აძლევს მათ;
- ე) კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
- ვ) ხელს აწერს სხდომაზე მიღებულ საოქმო გადაწყვეტილებებს;
- ზ) ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სიტყვას ჩამოართმევს გამომსვლელს, აფრთხილებს ოქმში შეტანით ან შეუტანლად, სხდომათა დარბაზს ატოვებინებს უმაღლესი საბჭოს წევრს და მოწვეულ სტუმარს;

თ) ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეწყვეტს სხდომას ან აცხადებს შესვენებას;

ი) კანონპროექტის განხილვისას საჭიროების შემთხვევაში კენჭს უყრის საკითხს კამათის შეწყვეტისა და მხარეთა მონაწილეობით შემთანხმებელი კომისიის შექმნის ან საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ;

კ) ახორციელებს ამ რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს ამ რეგლამენტით გათვალისწინებული წესით მონაწილეობა მიიღოს საკითხთა განხილვაში. სხდომის თავმჯდომარე თავისი უფლებამოსილების გადაცემის შემდეგ თავისი მოვალეობის შესრულებას უზრუნველბა საკითხის განხილვის დამთავრებისთანავე.

4. სხდომის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს კომენტარი გაუკეთოს უმაღლესი საბჭოს წევრის გამოსვლას ან სიტყვა შეაწყვეტინოს ამ მიზნით, შეაფასოს უმაღლესი საბჭოს წევრის გამოსვლა, უპასუხოს შეკითხვას, თუ კითხვა უშუალოდ მას არ დაუსვავს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უმაღლესი საბჭოს წევრი არღვევს ამ რეგლამენტის მოთხოვნებს.

#### მუხლი 76

1. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2. სხდომის გახსნის წინ და კენჭისყრების წინ ტარდება უმაღლესი საბჭოს წევრთა რეგისტრაცია.

3. უმაღლესი საბჭოს ყოველი სხდომის გახსნისა და კენჭისყრის წინ უმაღლესი საბჭოს წევრთა რეგისტრაციის შემდეგ, უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი აღრიცხავს უმაღლესი საბჭოს წევრთა დასწრებას. ფრაქცია უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს წერილობით აწვდის ინფორმაციას მათი წევრების მიერ სხდომის გაცდენის მიზეზების თაობაზე. უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული ფრაქციაში, მის მიერ სხდომის გაცდენის მიზეზის თაობაზე სხდომამდე თვითონ აცნობებს წერილობით უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს.

4. თუ დადგენილ ვადაში ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირები არ მიაწვდიან უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიულ და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს ინფორმაციას, უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად ჩაეთვლება.

5. უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად არ ჩაეთვლება, თუ ფრაქცია, უმაღლესი საბჭოს ის წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში,

პოლიტიკური შეხედულებების გამო უარს აცხადებს პლენარულ სხდომაზე საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებაზე. აღნიშნულის თაობაზე წერილობითი განცხადება წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს ან კეთდება ზეპირი განცხადება რეგისტრაციის დასრულების შემდეგ. 6. უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ პლენარული და კომისიის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა, ოჯახური მდგომარეობა, სამსახურებრივი მივლინება. აღნიშნული მიზეზების თაობაზე სხდომამდე ინფორმირებული უნდა იქნეს კომისიის თავმჯდომარე (მოადგილე) – კომისიის სხდომის გაცდენის შემთხვევაში, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარე – პლენარული სხდომის გაცდენის შემთხვევაში.

7. თუ უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის გახსნისას რეგისტრაციის შედეგების მიხედვით სხდომათა დარბაზში არ იმყოფება უმაღლესი საბჭოს წევრთა საკმარისი რაოდენობა, სხდომის თავმჯდომარე რეგისტრაციის ჩატარებიდან 15 წუთის შემდეგ ატარებს ხელახალ რეგისტრაციას. თუ ამ შემთხვევაშიც არ აღმოჩნდა უმაღლესი საბჭოს წევრთა საკმარისი რაოდენობა, მომდევნო 45 წუთის განმავლობაში სხდომის თავმჯდომარე ატარებს ხელახალ რეგისტრაციას. განსაკუთრებულ შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია მიიღოს სხვა გადაწყვეტილება.

### **მუხლი 77**

1. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომები, გარდა დახურული სხდომისა, მიმდინარეობს საჯაროდ. საჯარო სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ დადგენილი წესით აკრედიტებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს.

2. მთავრობის თავმჯდომარე, მთავრობის სხვა წევრები, მათი **მოადგილეები, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსი**, მთავრობის წარმომადგენელი უმაღლეს საბჭოში უფლებამოსილი არიან საკუთარი ინიციატივით დაესწრონ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომებს. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ., 010190030.51.060.016007)

3. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს პლენარულ სხდომებზე მოიწვიოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები, რომლებიც სხდომათა დარბაზში მათთვის განკუთვნილ ადგილებს იკავებენ.

4. ისეთი საკითხების განხილვისას, რომლებიც საიდუმლოების დაცვას საჭიროებს, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობის სხვა წევრებს, კომისიასა და ფრაქციას შეუძლიათ დააყენონ უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის ან მისი ნაწილის დახურულად გამოცხადების საკითხი. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

5. დახურულ სხდომაზე დამსწრე პირთა წრეს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე.

6. დახურულ სხდომაზე საკითხის განხილვისას სხდომათა დარბაზის კარი ჩაიკეტება.

7. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დროს უმაღლესი საბჭოს წევრები და მოწვეული პირები ვალდებული არიან დაიცვან უმაღლესი საბჭოს ეთიკის ნორმები.

### **მუხლი 78**

1. პლენარულ სხდომებს გახსნილად და დახურულად აცხადებს სხდომის თავმჯდომარე.

2. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის მიმდინარეობისას, უმაღლესი საბჭოს წევრების გარდა, სხდომათა დარბაზში მოძრაობის უფლება აქვთ მხოლოდ უმაღლესი საბჭოს აპარატის პასუხისმგებელ მუშაკებს.

## **თავი XIII პოლიტიკური დებატები**

### **მუხლი 79**

1. ფრაქციას უფლება აქვს მოითხოვოს პოლიტიკური დებატების დღის დანიშვნა. პოლიტიკური დებატების დღე, როგორც წესი, პლენარული სამუშაო ციკლის განმავლობაში ინიშნება ერთხელ.

გადაწყვეტილება პოლიტიკური დებატების დღის დანიშვნის შესახებ მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა.

2. პოლიტიკურ დებატებში გამოსვლებისათვის ფრაქციასა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს (სხდომის თავმჯდომარეს) – თითოეულს 15 წუთი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს – 10 წუთი, უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ არის გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, – 5 წუთი. ფრაქცია მისთვის გამოყოფილი დროის ფარგლებში განსაზღვრავს გამომსვლელთა რაოდენობასა და მათზე დროის გადანაწილების სქემას. პოლიტიკურ დებატებში გამომსვლელთათვის გამოყოფილი დროის გაზრდა დაუშვებელია.

3. პოლიტიკური დებატების ბოლოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს ისარგებლოს ამ რეგლამენტით მისთვის გათვალისწინებული დროის ლიმიტით და განხილული საკითხი დააყენოს კენჭისყრაზე.

## **თავი XIV განცხადებები**

### **მუხლი 80**

1. პლენარული სხდომის დაწყებამდე, დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, უმაღლესი საბჭოს წევრებს ამ თავით დადგენილი წესით ეთმობათ 15 წუთი განცხადებებისათვის. აღნიშნული დრო სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, გამომსვლელების რაოდენობის შესაბამისად შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 10 წუთისა. ცალკეული უმაღლესი საბჭოს წევრის განცხადების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს და მათთვის გამოყოფილი დროის გაზრდა დაუშვებელია.

2. უმაღლესი საბჭოს წევრები დღის წესრიგის დამტკიცებამდე განცხადებებისათვის პირადად ეწერებიან განმცხადებელთა სიაში, რომელიც წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს. უმაღლესი საბჭოს წევრს ასევე უფლება აქვს პირადად ჩაეწეროს განმცხადებელთა სიაში განცხადებების მიმდინარეობისას. განმცხადებელთა თანამიმდევრობა განისაზღვრება გამომსვლელთა სიაში ჩაწერის მიხედვით. განმცხადებელთა რიგითობის დაცვა სავალდებულოა. დაუშვებელია გამოსვლა სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე. ამასთანავე, უმაღლესი საბჭოს წევრი გამომსვლელთა სიაში შეიძლება ჩაეწეროს მხოლოდ ერთხელ. თუ უმაღლესი საბჭოს წევრი სიტყვის მიცემის მომენტისათვის სხდომას არ ესწრება, მას აღარ აქვს განცხადებით გამოსვლის უფლება. უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც ჩაწერილია გამომსვლელთა სიაში, უფლება არა აქვს მისი გამოსვლისათვის განკუთვნილი დრო დაუთმოს უმაღლესი საბჭოს სხვა წევრს.

3. თუ დღის წესრიგის დამტკიცების დროისათვის სხდომის თავმჯდომარეს განცხადებისათვის არ მიმართავს არც ერთი უმაღლესი საბჭოს წევრი, პლენარულ სხდომაზე უმაღლესი საბჭოს წევრთა განცხადებების პროცედურა არ იმართება, რის შესახებაც სხდომის თავმჯდომარე აუწყებს პლენარულ სხდომას.

4. ცალკეულ შემთხვევებში სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს პლენარული სხდომების კვირის სხვა დღეებში უმაღლესი საბჭოს წევრებს გამოუყოს დრო განცხადებებისათვის. ასეთ შემთხვევაში განცხადებისათვის გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს, ხოლო განცხადებების საერთო ხანგრძლივობა – 20 წუთს. ამასთანავე, უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს განცხადებით გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ.

## **თავი XV ხმის მიცემა და დათვლა**

### **მუხლი 81**

1. კენჭისყრის პროცედურის დაწყების წინ მოწმდება კვორუმი. თუ პლენარულ სხდომას არ ესწრება კენჭისყრისათვის საჭირო უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობა, სხდომის თავმჯდომარე აცხადებს გადადებული კენჭისყრის ჩატარების დროს.

2. თუ შემოვიდა წინადადება კენჭისყრის გადადების შესახებ, მას პირველ რიგში ეყრება კენჭი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მეოთხედისა.

3. კენჭისყრის პროცედურისას ერთწუთიანი გამოსვლა დასაშვებია მხოლოდ კენჭისყრის პროცედურულ საკითხებზე. ამასთან, ფრაქციას უფლება აქვს ორჯერ ისარგებლოს პროცედურულ საკითხზე ერთწუთიანი გამოსვლით, უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ არის გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, – ერთხელ.

4. უმაღლესი საბჭოს წევრის მოთხოვნით, შემოთავაზებული წინადადების (შესწორების, დამატების) ნაწილებს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე, რის შემდეგაც წინადადებას მთლიანად ეყრება კენჭი.

5. თუ წინადადების ყველა ნაწილი უარყვეს, იგი უარყოფილად ჩაითვლება.

6. ძირითადი წინადადების ინიციატორის თანხმობით ყველა წინადადებას (შესწორებას, დამატებას) შეიძლება კენჭი ეყაროს ძირითადი წინადადების კენჭისყრამდე. თუ ერთსა და იმავე მუხლზე წინადადების (შესწორების, დამატების) რაოდენობა 2 ან 2-ზე მეტია, პლენარული სხდომის თავმჯდომარე მათ კენჭისყრაზე აყენებს წარმოდგენილი რიგითობის მიხედვით. თუ მიღებულია ერთი ან რამდენიმე შესწორება ან დამატება, მაშინ ძირითად წინადადებას მათი გათვალისწინებით ეყრება კენჭი. შესწორების ან დამატების შესწორებას კენჭი ეყრება ძირითადი შესწორების ან დამატების კენჭისყრამდე.

### **მუხლი 82**

1. უმაღლესი საბჭოს წევრი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემის უფლებისა და ხმის მისაცემი ბარათის სხვისთვის გადაცემა.

2. თუ უმაღლესი საბჭოს წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო, მას უფლება არა აქვს ამ საკითხზე ხმა მისცეს კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ.

### **მუხლი 83**

1. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (ხელის აწევა და სიის ამოკითხვა, სახელობითი ბიულეტენებით – სახელობითი კენჭისყრა) ან ფარული (ბიულეტენებით გვარების აღუნიშნავად).

2. კენჭისყრა ყოველთვის ღიაა, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. ყოველი კენჭისყრის წინ პლენარული სხდომის თავმჯდომარე აცხადებს კენჭისყრის ფორმას, რაც საჭიროების შემთხვევაში დასტურდება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. უმაღლესი საბჭოს წევრი კენჭისყრის დროს თავის ნებას გამოხატავს, როგორც მომხრე ან წინააღმდეგი.

4. ფრაქციას უფლება აქვს კენჭისყრის პროცედურისას მოითხოვოს მხოლოდ ერთი შესვენება არაუმეტეს 10 წუთისა.

5. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება.

### **მუხლი 84**

1. ბიულეტენების მეშვეობით ფარული კენჭისყრის გამართვისას ხმის დამთვლელი კომისია ან იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია ადგენს კენჭისყრის ადგილსა და ბიულეტენის ფორმას. ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

2. ბიულეტენების შევსებისას უმაღლესი საბჭოს წევრი გადახაზავს მისთვის არასასურველი კანდიდატის გვარს და დატოვებს მხოლოდ იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც მხარს უჭერს. თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა გამოიხატება გვარის შემოხაზვით, ხოლო მიუცემლობა – მისი გადახაზვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევით შევსებული ბიულეტენი ბათილად ითვლება.

4. თუ ღია კენჭისყრის შედეგები ეჭვს იწვევს, პლენარული სხდომის თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს წევრთა ხუთკაციანი ჯგუფის, ფრაქციის მოთხოვნით შეიძლება დაისვას სახელობითი კენჭისყრის

ჩატარების საკითხი. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმადლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მეხუთედისა.

5. კენჭისყრის შედეგების ექვევებ დაყენების შემთხვევაში ფრაქციის, უმცირესობის, უმრავლესობის მოთხოვნით შესაძლებელია ამოკითხულ იქნეს კენჭისყრის მონაცემები.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, განცხადება კენჭისყრის შედეგების ექვევებ დაყენების შესახებ დაუყოვნებლივ წარედგინება პლენარული სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც საკითხს შესასწავლად გადასცემს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია შეისწავლის საკითხს და დასკვნას დაუყოვნებლივ წარუდგენს უმადლეს საბჭოს. თუ აღნიშნული დასკვნის შედეგად დადასტურდა ხმების გაყალბება, ხელახალი კენჭისყრა იმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საექვო ხმების რაოდენობა ცვლის კენჭისყრის საბოლოო შედეგს. კენჭისყრის შედეგების თაობაზე არსებული დავის გადაწყვეტამდე სხვა კენჭისყრის გამართვა დაუშვებელია. უმადლესი საბჭოს წევრთა ხუთკაციანი ჯგუფის, ფრაქციის მიერ კენჭისყრის შედეგების შესახებ გამოთქმული ექვის გადამოწმების შედეგად მისი დაუდასტურებლობის შემთხვევაში შესაბამის უმადლესი საბჭოს წევრთა ხუთკაციან ჯგუფს, ფრაქციას იმავე დღეს უფლება არა აქვთ მოითხოვონ სხვა კენჭისყრის შედეგების გადამოწმება. (სსმ., უმადლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

7. კენჭისყრების მიმდინარეობისას რეგისტრაციის მონაცემთა ცვლილების შემთხვევაში, უმადლესი საბჭოს წევრის მოთხოვნის საფუძველზე, რეგისტრაციის მონაცემთა ცვლილების შესახებ ინფორმაციას უმადლეს საბჭოს წარუდგენს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. (სსმ., უმადლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

8. ყველა კენჭისყრის შედეგს უმადლესი საბჭოს აცნობებს პლენარული სხდომის თავმჯდომარე და განთავსდება უმადლესი საბჭოს ინტერნეტ-გვერდზე.

9. უმადლესი საბჭოს წევრის მიერ ხმის მისაცემი ბარათის აღებასა და ჩაბარებას აღრიცხავს უმადლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტი. ხმის მისაცემი ბარათის სხვა პირისათვის გადაცემა დაუშვებელია და იწვევს პასუხისმგებლობას ამ რეგლამენტის შესაბამისად. ხმის მისაცემი ბარათის დაკარგვის შესახებ უმადლესი საბჭოს წევრი დაუყოვნებლივ აცნობებს უმადლესი საბჭოს აპარატს. (სსმ., უმადლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

## კარი VI

### საკანონმდებლო პროცესი

## თავი XVI

### კანონპროექტის მომზადება და უმადლეს საბჭოში წარდგენა

#### მუხლი 85

საკანონმდებლო პროცესი არის კანონპროექტის მომზადებისა და მიღების ერთიანი პროცედურა, რომელიც გულისხმობს: საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებას, უმადლეს საბჭოში წარდგენას, უმადლესი საბჭოს მიერ კანონპროექტის განხილვას, მიღებას, მთავრობის თავმჯდომარისათვის ხელმოსაწერად გადაცემას, მთავრობის თავმჯდომარის უფლებას – შენიშვნებით დაუბრუნოს უმადლეს საბჭოს მიღებული კანონპროექტი, უმადლესი საბჭოს მიერ მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებით დაბრუნებული კანონპროექტის განხილვას, მიღებულ კანონპროექტზე მთავრობის თავმჯდომარის მიერ ხელის მოწერას და კანონის გამოქვეყნებას.

#### მუხლი 86

უმადლეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი განხილვისას გადის შემდეგ პროცედურებს:

ა) კანონპროექტი გადაეცემა უმადლესი უმადლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს;

ბ) უმადლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი უმადლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტით კანონპროექტს გადასცემს

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უახლოეს სხდომას, თუ იგი წარდგენილია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი კანონპროექტი გადაეცემა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მომდევნო სხდომას;

გ) უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ, ამასთანავე, კანონპროექტს გადასცემს წამყვან კომისიას (კომისიებს), სხვა კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, აგრეთვე მთავრობას.

დ) წამყვანი კომისია კანონპროექტს მიღებიდან 10 დღის ვადაში განიხილავს კომისიის სხდომაზე;

ე) წამყვანი კომისიის, სხვა კომისიების, უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ განხილვის შემდეგ კანონპროექტი შესაბამისი დასკვნებით, არა უგვიანეს 1 კვირისა გადაეცემა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უმაღლესი საბჭოს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად;

ვ) კანონპროექტი მიღებიდან 7 დღის ვადაში გადაეცემა მთავრობის თავმჯდომარეს ხელმოსაწერად და კანონის გამოსაქვეყნებლად.

### **მუხლი 87**

1. საკანონმდებლო პროცესი იწყება საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებით და უმაღლეს საბჭოში წარდგენით.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 97-ე მუხლის თანახმად, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს პრეზიდენტს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს წევრს, მთავრობას და აფხაზეთში მცხოვრებ საქართველოს არანაკლებ 10 ათას სრულწლოვან მოქალაქეს.

3. მხოლოდ მთავრობაა უფლებამოსილი, უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს რესპუბლიკური ბიუჯეტის და მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტები.

4. მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წევრი, კომისია, ფრაქცია არის უფლებამოსილი, უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს კანონპროექტი რეგლამენტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ.

5. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტს შეუძლია დაუკვეთოს კანონპროექტი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციასა და დაწესებულებას (მათ შორის, უცხო ქვეყნის დაწესებულებას), ცალკეულ სპეციალისტებსა და სპეციალისტთა ჯგუფს (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს).

### **მუხლი 88**

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტმა კანონპროექტი შეიძლება წარადგინოს როგორც დამოუკიდებელი კანონპროექტის სახით, ისე კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის ან კანონის გაუქმების სახით.

2. კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის ან კანონის გაუქმების შესახებ კანონპროექტის წარდგენა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მიღებულია კანონი, რომელიც მოითხოვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას;

ბ) აუცილებელია შესაბამისი კანონით მოწესრიგებული სფეროს რეგულირების ახალი წესის დადგენა;

გ) კანონმდებლობით მოწესრიგებულ სფეროში წარმოიშვა ახალი ურთიერთობა, რაც მოითხოვს შესაბამის კანონში დამატებების შეტანას;

დ) შესაბამისმა კანონმა ვერ იმუშავა და წინააღმდეგობები შეექმნა რეგულირების სფეროში;

ე) აუცილებელია სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრა.

3. კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის წარდგენა, განხილვა და მიღება ხდება შესაბამისი კანონის წარდგენის, განხილვისა და მიღებისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

4. კანონი უქმდება კანონით, რომელიც მიიღება ხმათა იმავე რაოდენობითა და იმავე წესით, რომლითაც მიღებული იყო შესაბამისი კანონი.



## **მუხლი 89**

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტი კანონპროექტს ამზადებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. კანონპროექტით განისაზღვრება:

ა) ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად ამ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში;

ბ) ახალი ნორმატიული აქტი, რომლის მიღებაც საჭიროა ამ კანონპროექტთან დაკავშირებით, მისი მიღების ვადა და მიმღები ორგანოს სახელწოდება.

3. კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება:

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ. მასში აღინიშნება:

ა. ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

ა. ბ) კანონპროექტის მიზანი;

ა. გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება. მასში აღინიშნება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

**გ.გ) (ამოღებულია) – (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)**

**გ.დ) (ამოღებულია) – (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)**

დ) კანონპროექტის ავტორი; (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

ე) კანონპროექტის ინიციატორი. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

4. კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს:

ა) კანონპროექტი სხვა საკანონმდებლო აქტში იმ ცვლილების ან/და დამატებების შეტანის შესახებ, რომლებსაც გამოიწვევს კანონპროექტის მიღება, აგრეთვე კანონპროექტი შესაბამის კანონში იმ დამატების შეტანის შესახებ, რომლებითაც განისაზღვრება ამ ნორმატიული აქტის ნორმათა დარღვევისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა;

ა<sup>1</sup>) იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

**ბ) (ამოღებულია)(სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)**

გ) დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა ასეთის არსებობის შემთხვევაში;

5. თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ და ისინი წარდგენილ უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

6. კომისიის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს კომისიის სხდომის ოქმის ასლი, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

7. მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს მთავრობის სხდომის ოქმის ასლი, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

## მუხლი 90

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული და უმაღლესი საბჭოს წარდგენილი კანონპროექტი გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, რომელიც აღრიცხავს და რეგისტრაციაში ატარებს წარდგენილ კანონპროექტებს.

2. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის თარიღად მიიჩნევა მისი უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღი.

3. უმაღლეს საბჭოსათვის წარდგენილ კანონპროექტს უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი წარუდგენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უახლოეს სხდომას, თუ იგი დეპარტამენტში წარდგენილია პრეზიდიუმის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი კანონპროექტი გადაეცემა პრეზიდიუმის მომდევნო სხდომას. პრეზიდიუმი უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ.

4. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისათვის წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების პროექტი, რომელშიც მითითებულია:

- ა) კანონპროექტის დასახელება;
- ბ) კანონპროექტის ინიციატორი;
- გ) კანონპროექტის ავტორი;
- დ) კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის თარიღი;
- ე) წამყვანი კომისია;
- ვ) კანონპროექტის კომისიის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი;
- ზ) კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი;
- თ) სხვა კომისიები, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს კანონპროექტს.

5. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გადაწყვეტილებას იღებს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ე“-„თ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საკითხების თაობაზე.

6. თუ წარდგენილ კანონპროექტს არ ერთვის ამ რეგლამენტის 89-ე მუხლის მე-3–მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მოტივირებული დასკვნის საფუძველზე უფლებამოსილია ხარვეზის გამოსასწორებლად კანონპროექტი დაუბრუნოს მის ინიციატორს.

7. თუ კანონპროექტი ამ რეგლამენტით დადგენილ ვადაში არ იქნება წარდგენილი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისათვის, ცალკეულ უმაღლესი საბჭოს წევრს, კომისიის, ფრაქციის წარმომადგენელს უფლება აქვს მოითხოვოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისაგან განმარტება კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისათვის წარუდგენლობის თაობაზე. თუ გამოვლინდება ერთი სუბიექტის მიერ კანონპროექტის ორჯერ ან მეტჯერ წარუდგენლობის ფაქტი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დადგეს შესაბამისი პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

8. კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღისა მთავრობა წამყვან კომისიას (კომისიებს) გადასცემს თავის შენიშვნებს კანონპროექტთან დაკავშირებით. თუ მთავრობა ამ ვადაში არ წარმოადგენს შენიშვნებს უმაღლეს საბჭოში განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტი ჩაითვლება მთავრობის მიერ მოწონებულად.

9. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტები – მთავრობის

მიერ უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებული რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში.

10. კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, ასევე მთავრობას, მოთხოვნის შემთხვევაში – ცალკეულ უმაღლესი საბჭოს წევრებს და განთავსდება უმაღლესი საბჭოს ინტერნეტ-გვერდზე.

### **მუხლი 91**

1. კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პრეზიდიუმის სხდომაზე წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიულ და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნა. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიულ და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი დასკვნას აკეთებს შემდეგ საკითხთან დაკავშირებით: (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

ა) შეესაბამება თუ არა ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი მოქმედ კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს;

ბ) საჭიროა თუ არა ახალი კანონის მიღება;

გ) ამომწურავია თუ არა გასაუქმებელი ნორმატიული აქტებისა და სავალდებულო ცვლილებების ან/და დამატებების პროექტის ნუსხა.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის ინფორმაცია მოიცავს ამ რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ საპროცედურო მოთხოვნებთან კანონპროექტის მომზადებისა და განხილვის მსვლელობის შესაბამისობის საკითხებს. თუ დარღვეულია კანონპროექტის მომზადებისა და განხილვის ვადა, ამის შესახებ ეცნობება საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას, რომელიც ამზადებს შესაბამის დასკვნას.

4. თუ საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი არ არის გათვალისწინებული უმაღლესი საბჭოს სამუშაო გეგმაში ან შემოტანილია გეგმით განსაზღვრული ვადის დარღვევით, ან საქართველოს პრეზიდენტი ან მთავრობა მოითხოვს მის რეგარემე განხილვას, კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს განხილვის ვადებს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და გადასცემს მას წამყვან კომისიას.

5. თუ დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდა კანონპროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვისათვის მომზადება, მისი განხილვისათვის დადგენილ ვადას საჭიროების შემთხვევაში გააგრძელებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

6. კანონპროექტის ინიციატორს უფლება აქვს სათანადო მოტივირებით გამოითხოვოს იგი მიღებამდე.

### **მუხლი 92**

1. საკანონმდებლო წინადადება არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მიერ უმაღლეს საბჭოში წარდგენილი, დადგენილი წესით გაფორმებული, დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღების ან კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.

2. საკანონმდებლო წინადადების წარდგენის უფლება აქვთ: საქართველოს მოქალაქეებს, სახელმწიფო ორგანოებს (გარდა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისა), ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს, კანონით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს და სხვა იურიდიულ პირებს.

3. საკანონმდებლო წინადადება შეიძლება წარდგენილ იქნეს კანონპროექტის ანდა მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით. საკანონმდებლო წინადადება უნდა შეიცავდეს მისი საჭიროების ავტორისეულ დასაბუთებას, ავტორის ხელმოწერას და მისამართს.

4. საკანონმდებლო წინადადებას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე 5 დღის ვადაში გადასცემს კომისიებს წამყვანი კომისიის მითითებით, რომელიც მას განიხილავს 10 დღეში. თუ ეს ვერ მოხერხდა, საკანონმდებლო წინადადების განხილვის ვადა ავტორთან შეთანხმებით შეიძლება გააგრძელოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ არა უმეტეს 5 დღით. კომისიაში საკანონმდებლო წინადადება განიხილება ამ რეგლამენტის 94-ე-95-ე მუხლების შესაბამისად. საკომისიო განხილვის შედეგად საკანონმდებლო წინადადება მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება ცნობილ იქნეს მიღებულად ან უარყოფილად.

5. კომისია თავის გადაწყვეტილებას აცნობებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უახლოეს სხდომას.

6. თუ საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით და წამყვანმა კომისიამ მისაღებად ცნო იგი, კომისია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით, განსაზღვრულ ვადაში შეიმუშავებს კანონპროექტს და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით გადასცემს პრეზიდიუმს.

7. თუ საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია კანონპროექტის სახით და წამყვანმა კომისიამ მისაღებად ცნო იგი, კანონპროექტი ამ რეგლამენტით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადაში გადაეცემა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

8. საკანონმდებლო წინადადების ავტორს უფლება აქვს გამოითხოვოს იგი საკომისიო განხილვამდე.

9. საკანონმდებლო წინადადების მიღების შემთხვევაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტად ითვლება წამყვანი კომისია.

## **თავი XVII**

### **კომისიაში კანონპროექტის განხილვა**

#### **მუხლი 93**

1. უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი კანონპროექტი ამ რეგლამენტით დადგენილი წესით განიხილება კომისიებში. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული წამყვანი კომისია კანონპროექტის განხილვისათვის აწყობს კომისიის სხდომას ამ კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მოსამზადებლად.

2. კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით განისაზღვრება ამ კანონპროექტის განხილვისას წამყვანი კომისია, რომელიც უძღვება უმაღლესი საბჭოში მისი განხილვის პროცედურებს და პასუხისმგებელია მათი დაცვისათვის.

3. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მოსამზადებლად კანონპროექტი წამყვანი კომისიის სხდომაზე განიხილება ამ რეგლამენტით კომისიის სხდომაზე კანონპროექტის განხილვისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

#### **მუხლი 94**

1. კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღისა სხვა კომისიები წამყვან კომისიას (კომისიებს) გადასცემენ თავიანთ შენიშვნებს კანონპროექტთან დაკავშირებით. თუ კომისია ამ ვადაში არ წარმოადგენს შენიშვნებს, ითვლება, რომ საკითხი შეთანხმებულია მასთან.

2. წამყვანი კომისია კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში იწვევს კომისიის სხდომას. კომისიის სხდომის შესახებ ინფორმაცია სხდომამდე არა უგვიანეს 2 დღისა გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, რომელიც დადგენილი წესით უზრუნველყოფს მის გავრცელებას უმაღლეს საბჭოში.

3. კანონპროექტი კომისიის სხდომაზე განიხილება მუხლობრივად. საჭიროების შემთხვევაში კენჭი ეყრება შენიშვნებს.

4. კომისიის სხდომაზე განხილვის შედეგად კანონპროექტი შეიძლება ცნობილ იქნეს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად, არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად. კანონპროექტის არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად ცნობა არ აბრკოლებს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის დაწყებას.

5. წამყვანი კომისიის დასკვნის გარეშე დაუშვებელია კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გატანა. თუ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 20 დღის ვადაში წამყვანი კომისია არ გამართავს სხდომას და არ გამოხატავს თავის პოზიციას კანონპროექტთან დაკავშირებით, ინიციატორი უფლებამოსილია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დასვას წამყვანი კომისიის დასკვნის გარეშე კანონპროექტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანის საკითხი.

6. თუ ამ მუხლით დადგენილ ვადაში წამყვანი კომისია ვერ ახერხებს კომისიის სხდომის გამართვას და დასკვნის წარდგენას, კომისიის თავმჯდომარის მოტივირებული წინადადების საფუძველზე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უფლებამოსილია განსაზღვროს კანონპროექტის საკომისიო განხილვის ახალი ვადა. თუ ამ ვადაშიც წამყვანი კომისია არ გამართავს სხდომას და არ გამოხატავს თავის პოზიციას კანონპროექტთან დაკავშირებით, ინიციატორი უფლებამოსილია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დასვას წამყვანი კომისიის დასკვნის გარეშე კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანის საკითხი. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ვალდებულია კანონპროექტი შეიტანოს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. თუ ინიციატორი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე არ დასვამს კანონპროექტის შემდგომი განხილვის საკითხს, იგი ითვლება უმაღლესი საბჭოდან გამოთხოვილად.

7. კანონპროექტზე წამყვანი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებელი.

8. კანონპროექტზე წამყვანი კომისიის უარყოფითი დასკვნა არ აბრკოლებს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის დაწყებას.

9. კომისიის სხდომის შემდეგ კანონპროექტი კომისიის თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – უფლებამოსილი მოადგილის ხელმოწერით, წერილობითი ფორმით ეგზავნება უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში შესატანად. ამასთანავე, კანონპროექტის თითოეული გვერდი ვიზირებული უნდა იქნეს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მიერ.

10. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისათვის წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთოდეს წამყვანი კომისიის დასკვნა, ასევე სხვა კომისიების, ფრაქციების, ცალკეული უმაღლესი საბჭოს წევრების, უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტისა და სხვა უფლებამოსილი სუბიექტების მიერ წარმოდგენილი დასკვნები, ასევე მათი შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი, რომელიც მზადდება კანონპროექტის ინიციატორთან შეთანხმებით.

## **მუხლი 95**

1. კომისიის სხდომას იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოადგილე.

2. კომისიის სხდომის თარიღი კომისიის წევრებს ეცნობება სხდომამდე არა უგვიანეს 2 დღისა. კომისიის სხდომაზე განსახილველი კანონპროექტი ამავე ვადაში ურიგდება კომისიის წევრებს. კომისიის სხდომისა და მისი დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია სხდომამდე 2 დღით ადრე განთავსდება უმაღლესი საბჭოს ინტერნეტ-გვერდზე.

3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. ღია კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის სხდომაზე კანონპროექტი განსახილველად შემოაქვს ამ კომისიის წარმომადგენელს. ოპონენტი შეიძლება იყოს შესაბამისი დაინტერესებული უწყების უფლებამოსილი პირი.

5. თუ კანონპროექტი შემოტანილია საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სხვა სუბიექტის მიერ, მომხსენებელი არის მის მიერ დანიშნული უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6. კომისია ვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის მიერ შემოტანილი კანონპროექტი განიხილოს უახლოეს სხდომაზე.

7. კომისიის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ საზოგადოებრიობის დაინტერესებული წარმომადგენლები, რომელთაც სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მიეცემა სიტყვით გამოსვლის უფლება.

8. კომისიის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დადგენილი წესით აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები. შესაძლებელია მოეწყოს კომისიის სხდომის ტელერადიორეპორტაჟი და სხდომის შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს პრესაში.

9. იმ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელზედაც წამყვანი არის 2 ან 2-ზე მეტი კომისია, შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეთა შეთანხმებით ან უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაიმართოს ამ კომისიების ერთობლივი სხდომა. ერთობლივ სხდომაზე, როგორც წესი, კენჭისყრა არ ტარდება. კენჭისყრა შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ კომისიების მიხედვით.

### **მუხლი 96**

1. ალტერნატიული კანონპროექტის წარდგენა შეიძლება ძირითადი კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის ვადაში, მაგრამ ძირითადი კანონპროექტის საკომისიო განხილვამდე არა უგვიანეს 3 დღისა. ალტერნატიული კანონპროექტი წარედგინება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და ძირითადი კანონპროექტის განხილვისას წამყვან კომისიას. ალტერნატიული კანონპროექტი წამყვანი კომისიის სხდომაზე განიხილება ძირითად კანონპროექტთან ერთად.

2. ალტერნატიული კანონპროექტი არსებითად უნდა განსხვავდებოდეს ძირითადი კანონპროექტისაგან.

3. წამყვანი კომისია, ალტერნატიული კანონპროექტის ინიციატორის თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას შეჯერებული ვარიანტის წარდგენის თაობაზე. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას წარედგინება ძირითადი და ალტერნატიული კანონპროექტები. უმაღლესი საბჭო დადგენილებით წყვეტს ერთ-ერთი მათგანის საფუძვლად მიღების ან უარყოფის საკითხს.

4. დაუშვებელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის ცალკეული ნორმების თაობაზე ალტერნატიული წინადადების წარდგენა.

5. კანონპროექტის ცალკეული ნორმების თაობაზე ალტერნატიული წინადადების წარდგენის უფლება აქვს კომისიას, ფრაქციას, ცალკეულ უმაღლესი საბჭოს წევრს.

6. კანონპროექტის თაობაზე ალტერნატიული წინადადება მიღებულად ითვლება, თუ მას დაეთანხმება მომხსენებელი. თუ მომხსენებელი არ ეთანხმება ალტერნატიული წინადადების მიღებას, წამყვანი კომისია ან უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომა კენჭისყრით წყვეტს კანონპროექტის ცალკეული ნორმების თაობაზე ალტერნატიული წინადადების მიღების ან უარყოფის საკითხს.

## **თავი XVIII**

### **უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვა და მიღება**

### **მუხლი 97**

1. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვა იწყება კანონპროექტის ინიციატორის ან მის მიერ დანიშნული წარმომადგენლის გამოსვლით.

2. უმაღლეს საბჭოში საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის ინიციატივით შემოტანილ კანონპროექტზე შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის წარმომადგენელი უმაღლეს საბჭოში მომხსენებლად (თანამომხსენებლად) გამოდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ იქნება მომხსენებლად (თანამომხსენებლად) დანიშნული სხვა უფლებამოსილი წარმომადგენელი. ფრაქციის ან კომისიის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე მომხსენებლად გამოდის შესაბამისად ფრაქციის ან კომისიის თავმჯდომარე ან ფრაქციის ან კომისიის მიერ დანიშნული წარმომადგენელი, უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე – ინიციატორი უმაღლესი საბჭოს წევრი. 10 000 ამომრჩევლის მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე მომხსენებლად გამოდის საინიციატივო ჯგუფის მიერ არჩეული წარმომადგენელი,

ხოლო თანამომხსენებლად – შესაბამისი კომისიის წარმომადგენელი. საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის ინიციატივით შემოტანილ კანონპროექტზე მომხსენებლად დანიშნული პირი არ შეიძლება იყოს უმაღლესი საბჭოს წევრი. უმაღლესი საბჭოს წევრის, კომისიის ან ფრაქციის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე თანამომხსენებლად გამოდის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

3. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის თაობაზე მომხსენებლის გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს (აუცილებლობის შემთხვევაში გამოსვლის ხანგრძლივობა 30 წუთამდე შეიძლება გაგრძელდეს სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით).

4. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვისას მომხსენებელი სხვა საკითხებთან ერთად სხდომას შეახსენებს, თუ კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვამდე გამოთქმული რომელი შენიშვნა (ავტორის დასახელებით) იქნა გათვალისწინებული, რომელი - არა და რატომ.

5. მომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ კანონპროექტის თაობაზე შეკითხვით მიმართონ მომხსენებელს. თითოეული შეკითხვის ავტორისათვის გამოყოფილი დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს, ამასთან, მას შეუძლია დაზუსტებისათვის ისარგებლოს არა უმეტეს 1 წუთით. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს შეკითხვისა და დაზუსტებისათვის გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ. შეკითხვების დასრულების შემდეგ მომხსენებელს უფლება აქვს ერთობლივად უპასუხოს ყველა დასმულ შეკითხვას. მისი პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს.

6. მომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ სიტყვით გამოდის თანამომხსენებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის სიტყვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს. თანამომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ კანონპროექტის თაობაზე შეკითხვით მიმართონ თანამომხსენებელს. თითოეული შეკითხვის ავტორს შეუძლია გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 1 წუთით. შეკითხვების დასრულების შემდეგ თანამომხსენებელს უფლება აქვს ერთობლივად უპასუხოს ყველა დასმულ შეკითხვას. მისი პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.

7. თანამომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ სიტყვით გამოდიან წამყვანი კომისიისა და სხვა კომისიების წარმომადგენლები, თუ წამყვანი კომისიის წარმომადგენელი არ არის თანამომხსენებელი. წამყვანი კომისიის წარმომადგენლის გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, ხოლო სხვა კომისიის წარმომადგენლის გამოსვლა – 5 წუთს.

8. წამყვანი კომისიისა და სხვა კომისიების წარმომადგენლების გამოსვლების დასრულების შემდეგ სიტყვით გამოდიან ცალკეული უმაღლესი საბჭოს წევრები, რომელთა სიტყვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს. ამისათვის უმაღლესი საბჭოს წევრები მომხსენებლის მოხსენების დამთავრებამდე პირადად ეწერებიან გამომსვლელთა სიაში. ამ უმაღლესი საბჭოს წევრთა თანამიმდევრობას განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე გამომსვლელთა სიაში ჩაწერის მიხედვით. გამომსვლელთა რიგითობის დაცვა სავალდებულოა. დაუშვებელია გამოსვლა სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე. ამასთან, უმაღლესი საბჭოს წევრი გამომსვლელთა სიაში შეიძლება ჩაეწეროს მხოლოდ ერთხელ.

9. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვისას კანონპროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნა მიღებულად ითვლება, თუ მას დაეთანხმება მომხსენებელი ან კენჭისყრის შედეგად გაიზიარებს უმაღლესი საბჭო.

10. მომხსენებლის დასკვნითი სიტყვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე დასრულებულად მიიჩნევს კანონპროექტის განხილვას და უმაღლესი საბჭოს წევრებს აცნობებს მისი კენჭისყრის თარიღს.

11. ამ მუხლით დადგენილი გამოსვლების ხანგრძლივობა შეიძლება გაგრძელდეს გამომსვლელის მოთხოვნის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, დამსწრე უმაღლესი საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით. თუ უმაღლესი საბჭოს წევრი გამოსვლისას ვერ ჩაეტია მისთვის განკუთვნილ დროში, მისი მოთხოვნით ამ გამოსვლის ტექსტი შეიტანება სხდომის ოქმში.

12. გამომსვლელები, როგორც წესი, სიტყვით გამოდიან საქართველოს სახელმწიფო ენაზე. თუ უმაღლესი საბჭოს წევრს სახელმწიფო ენაზე გამოსვლა არ შეუძლია, მას უფლება აქვს ისაუბროს სხვა

ენაზე, რის შესახებაც სხდომის დაწყებამდე უნდა გააფრთხილოს სხდომის თავმჯდომარე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი გამოსვლის ტექსტის თარგმნა.

### **მუხლი 98**

1. კანონპროექტის მოსმენის დასრულების შემდეგ, კენჭისყრის საფუძველზე უმაღლესი საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) კანონპროექტის (ალტერნატიული კანონპროექტებიდან ერთ-ერთის საფუძველად) მიღების შესახებ;
- ბ) გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით ახალი კანონპროექტის შემუშავების შესახებ.

2. სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შესაძლებელია, კანონპროექტის განხილვისას მისი ზოგადი პრინციპებისა და ძირითადი დებულებების თაობაზე გამოთქმულ შენიშვნებს მოთხოვნის შემთხვევაში ცალ-ცალკე ეყაროს კენჭი.

3. კანონპროექტი, რომელიც კენჭისყრისას ვერ დააგროვებს ამ რეგლამენტით მისი მიღებისათვის დადგენილ ხმათა საჭირო რაოდენობას, უარყოფილად ითვლება და ფორმდება დადგენილება კანონპროექტის უარყოფის შესახებ. უარყოფილი კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს იმავე სესიაზე განმეორებით გატანა დასაშვებია, თუ იგი არსებითად გადამუშავდა, რაზედაც დასკვნას წარადგენს უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი.

### **მუხლი 99**

უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის (ან სხვა აქტის პროექტის) განხილვის დაწყებისას სხდომათა დარბაზში მომხსენებლის ან/და თანამომხსენებლის არყოფნის შემთხვევაში კანონპროექტი (ან სხვა აქტის პროექტი) იხსნება პლენარული სხდომის დღის წესრიგიდან და გადადის მომდევნო პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

### **მუხლი 100**

1. უმაღლესმა საბჭომ კანონპროექტი შეიძლება განიხილოს და მიიღოს დაჩქარებული წესით.

2. კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება გულისხმობს მის განხილვასა და მიღებას უმაღლესი საბჭოს სხდომაზე 1 კვირის განმავლობაში. კანონპროექტის 1 დღეში განხილვა და მიღება დასაშვებია მხოლოდ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

3. კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კანონპროექტის ინიციატორის ან წამყვანი კომისიის წინადადების საფუძველზე. თუ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არ მიიღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, აღნიშნულ საკითხს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საბჭოს სხდომა.

4. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ან უმაღლესი საბჭოს სხდომის მიერ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ რეგლამენტით გათვალისწინებული სუბიექტები უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან უმაღლესი საბჭოს სხდომის მიერ განსაზღვრულ ვადაში გადასცემენ წამყვან კომისიას (კომისიებს) თავიანთ შენიშვნებს კანონპროექტთან დაკავშირებით.

5. დაუშვებელია დაჩქარებული წესით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის განხილვა და მიღება.

6. დაჩქარებული წესით კანონპროექტი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებს მხოლოდ ცვლილების ან/და დამატების შეტანას კანონში.

7. კანონპროექტს, რომლის თაობაზედაც მიღებულია დაჩქარებული წესით განხილვის გადაწყვეტილება, უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განხილვისას უნდა ერთოდეს ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი დასკვნები. დაჩქარებული წესით კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განხილვა და კენჭისყრა ხდება კანონპროექტის განხილვისა და კენჭისყრისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

### **მუხლი 101**

1. უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი უმაღლეს საბჭოს წარედგინება და კომისიებში განიხილება კანონპროექტის წარდგენისა და კომისიაში განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.



2. უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი განიხილება კანონპროექტის განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

3. დადგენილების პროექტთან დაკავშირებული ყოველი წინადადება უნდა წარედგინოს წამყვან კომისიას. თუ წამყვანი კომისია უარყოფს პროექტთან დაკავშირებულ წინადადებას, უმაღლესი საბჭო მას, ინიციატორის მოთხოვნით, დადგენილების პროექტთან ერთად განიხილავს. ახალი წინადადების დაყენება და განხილვა შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს თანხმობით.

4. დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ, კენჭისყრის საფუძველზე უმაღლესი საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) წარმოდგენილი პროექტის მთლიანად მიღების შესახებ;
- ბ) შესაბამისი ორგანოსათვის ახალი პროექტის შემუშავების დავალების შესახებ.

5. უმაღლესი საბჭოს განცხადება და მიმართვა განიხილება და მიიღება დადგენილების განხილვისა და მიღებისათვის ამ რეგლამენტით განსაზღვრული წესით.

6. უმაღლესი საბჭოს დადგენილება, განცხადება და მიმართვა, ასევე კანონი განთავსდება უმაღლესი საბჭოს ინტერნეტ-გვერდზე.

### **მუხლი 102**

1. კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.

2. კანონის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის ან დადგენილების პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. უმაღლესი საბჭოს განცხადება, მიმართვა ან რეკომენდაცია მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

4. უმაღლესი საბჭოს თანხმობა, როგორც წესი, მიიღება დადგენილებით.

5. კანონის ან დადგენილების პროექტის ან უმაღლესი საბჭოს სხვა აქტის მიღების თარიღად ითვლება უმაღლესი საბჭოს მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე.

### **მუხლი 103**

1. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვისას დგება სხდომის ოქმი. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის ოქმი, საიდუმლო საკითხების გამოკლებით, შეიძლება განთავსდეს უმაღლესი საბჭოს ინტერნეტ-გვერდზე.

2. უმაღლესი საბჭოს დახურული პლენარული სხდომის ოქმის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წევრებს, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილ წარმომადგენელს, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოთა იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნული სხდომის მუშაობაში.

### **მუხლი 104 (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)**

1. უმაღლესი საბჭოს აპარატი უზრუნველყოფს უმაღლეს საბჭოში განსახილველად შეტანილი კანონპროექტების აღრიცხვას, აკონტროლებს მათი განხილვის მდგომარეობას საკანონმდებლო პროცესის განხორციელების სტადიების მიხედვით და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ყოველკვარტალურად წარუდგენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას.

2. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია განიხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას. იგი უფლებამოსილია კანონპროექტის განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტები. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია განხილვის შედეგებს სისტემატურად მოახსენებს უმაღლეს საბჭოს.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და უმაღლესი საბჭოს სხვა აქტების გამოქვეყნება და ამოქმედება**

**მუხლი 105 (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი მიიღება და ქვეყნდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული წესით.
2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტი 7 დღის ვადაში გადაეცემა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან კანონპროექტს მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს უმაღლეს საბჭოს. თუ ამ ვადაში მთავრობის თავმჯდომარემ ხელი არ მოაწერა და არ გამოაქვეყნა კანონი და არც უმაღლეს საბჭოს არ დაუბრუნა კანონპროექტი, მომდევნო 5 დღის ვადაში კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.
3. თუ მთავრობის თავმჯდომარე დააბრუნებს კანონპროექტს, უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებს ერთიანად, რომელთა მისაღებად საკმარისია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღებისათვის დადგენილი ხმათა რაოდენობა. თუ უმაღლესმა საბჭომ მიიღო შენიშვნები, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია 5 დღის ვადაში გადაეცემა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს.
4. თუ უმაღლესმა საბჭომ არ მიიღო მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონის პროექტი მიღებულიად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულიად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში იგი 5 დღის ვადაში გადაეცემა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს.
5. თუ ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში მთავრობის თავმჯდომარემ ხელი არ მოაწერა და არ გამოაქვეყნა კანონი, ან ამ მუხლის მე-2–მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში შეუძლებელია კანონის ხელმოწერისა და გამოქვეყნების ვალდებულების შესრულება, შესაბამისი ვადის ამოწურვიდან 5 დღის ვადაში კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.
6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ამ მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის განკარგულებით ქვეყნდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.

**მუხლი 106 (ამოღებულია)(სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)**

**მუხლი 107 (ამოღებულია) (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)**

(სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებით დაბრუნებული კანონპროექტის განხილვა

მუხლი 108 (ამოღებულია) (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

მუხლი 109 (ამოღებულია) (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

### თავი XXI

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვა

#### მუხლი 110

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანება უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სრული შემადგენლობის ორი მესამედით.

2. უმაღლესი საბჭო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტს განიხილავს კანონპროექტის განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეცვლასთან დაკავშირებული საკითხები უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გამოტანილ უნდა იქნეს საერთო სახალხო განხილვისათვის.

### თავი XXII

ამომრჩეველთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება

#### მუხლი 111

1. არანაკლებ 10 000 ამომრჩევლის ინიციატივით კანონპროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა მიერ იქმნება საინიციატივო ჯგუფი არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით.

2. საინიციატივო ჯგუფი რეგისტრაციაში გატარების თაობაზე განცხადებით მიმართავს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. განცხადებას უნდა დაერთოს კანონპროექტი და საინიციატივო ჯგუფის წევრთა შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი; დაბადების წელი, თვე და რიცხვი; პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი; მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი. ეს მასალები უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უახლოესი სხდომიდან 2 დღის ვადაში გადაეცემა ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას.

3. ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების თაობაზე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მასალების გადაცემიდან 5 დღის ვადაში საინიციატივო ჯგუფს გადასცემს სარეგისტრაციო მოწმობას ან რეგისტრაციაზე ეუბნება მოტივირებულ უარს. რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევა.

4. საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს სარეგისტრაციო მოწმობის მიღებამდე გამოითხოვოს რეგისტრაციაში გატარების თაობაზე განცხადება.

5. საინიციატივო ჯგუფი სარეგისტრაციო მოწმობის მიღების დღიდან უფლებამოსილია დაიწყოს კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება.

6. ხელმოწერების შესაგროვებლად ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მიერ დადგენილი ფორმის თითოეულ ფურცელს ხელს აწერს არა უმეტეს 50 ამომრჩევლისა. ხელმოწერების სისწორეზე პასუხისმგებელი პირი აღნიშნავს შემდეგ მონაცემებს: სახელს, გვარს; დაბადების წელს, თვესა და რიცხვს; პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერს; მისამართსა და ხელმოწერის თარიღს, რასაც ხელმოწერით ადასტურებს ამომრჩეველი. თითოეულ ასეთ

ფურცელს ხელმოწერით ადასტურებს საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელიც პასუხისმგებელია ხელმოწერების სისწორეზე და პასუხს აგებს ხელმოწერების გაყალბებისათვის. მისი ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო ბიუროში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ან/და მმართველობის ორგანოში.

7. შევსებულ ხელმოწერების ფურცლებს საინიციატივო ჯგუფი სარეგისტრაციო მოწმობის მიღებიდან 45 დღის ვადაში წარუდგენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც 2 დღის ვადაში გადასცემს მათ ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას.

8. ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია ხელმოწერების ფურცლების მიღებიდან 2 კვირის ვადაში შერჩევითი პრინციპის საფუძველზე ამოწმებს ხელმოწერების ნამდვილობას და შედეგებს წარუდგენს უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის უახლოეს სხდომას. თუ დადგინდა, რომ ხელმოწერები შესრულებულია ამ თავის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა აღმოჩნდა 10 000-ზე ნაკლები, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უარს ეუბნება საინიციატივო ჯგუფს კანონპროექტის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენაზე. შესაბამისად, კანონპროექტის წარდგენის უფლების განხორციელება უარყოფილად ითვლება.

9. ბათილად მიიჩნევა ყველა ხელმოწერა, რომელიც:

ა) შესრულებულია ფურცელზე, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ ფორმას ან/და რომელიც ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით არ არის დადასტურებული ან დამოწმებული;

ბ) არ შეიცავს ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მონაცემებს;

გ) შესრულებულია მოტყუებით ან სხვა პირის მიერ, თუ ამას წერილობით დაადასტურებს ამომრჩეველი.

10. კანონპროექტის წარდგენაზე უარის მიღების შემთხვევაში საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს 5 დღის ვადაში მიმართოს საერთო სასამართლოს სისტემაში არსებულ პირველი ინსტანციის სასამართლოს.

11. ამომრჩეველთა ხელმოწერების ნამდვილობის შესახებ იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნა, წარმოდგენილი კანონპროექტი და ამომრჩეველთა ხელმოწერები წარედგინება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

12. არანაკლებ 10 000 ამომრჩევლის ინიციატივით წარმოდგენილ კანონპროექტზე უმაღლეს საბჭოში მომხსენებლად გამოდის საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ან საინიციატივო ჯგუფის უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო თანამომხსენებლად – წამყვანი კომისიის წარმომადგენელი. ამომრჩევლის ინიციატივით წარმოდგენილ კანონპროექტზე მომხსენებლად დანიშნული პირი არ შეიძლება იყოს უმაღლესი საბჭოს ან მთავრობის წევრი, ასევე მთავრობის ან პრეზიდენტის წარმომადგენელი.

13. კანონპროექტი განიხილება კანონპროექტის განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

## თავი XXIII

**უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით კანონპროექტის საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენა**

### მუხლი 112

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უმაღლეს საბჭოს გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის პარლამენტში განსახილველად წარდგენის უფლება.

### მუხლი 113

1. უმაღლესი საბჭო კანონპროექტს ამზადებს და საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგენს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. საქართველოს პარლამენტისათვის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით კანონპროექტის წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება უმაღლესი საბჭოს დადგენილებით. დადგენილება

მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის განხილვისათვის დანიშნული მომხსენებლის ვინაობა.

#### **მუხლი 114**

1. საქართველოს პარლამენტისათვის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით წარსადგენი კანონპროექტი უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის მიერ განიხილება კანონპროექტის ამ რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს პარლამენტისათვის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით კანონპროექტის წარდგენის თაობაზე (კანონპროექტით) საქართველოს პარლამენტს უნდა წარედგინოს უმაღლესი საბჭოს დადგენილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

### **თავი XXIV**

#### **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვა და მიღება**

#### **მუხლი 115**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის (შემდგომ – რესპუბლიკური ბიუჯეტი) კანონის პროექტის მომზადება, განხილვა და მიღება ხდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და ამ რეგლამენტის შესაბამისად.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას უზრუნველყოფს შესაბამისი მეთოდური მითითებებით.

#### **მუხლი 116**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი (შემდგომ – პრიორიტეტების დოკუმენტი) არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ.

2. პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენას კოორდინაციას უწევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო.

3. პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტამდე გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

4. მაღლეს საბჭოსთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით მთავრობის თავმჯდომარე ყოველი წლის 15 ივნისამდე წარუდგენს მას ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ძირითადი მიმართულებების შესახებ. უმაღლესი საბჭო აღნიშნულ ინფორმაციაზე დასკვნას არა უგვიანეს 30 ივნისისა უგზავნის მთავრობას.

5. პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

გ.ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტებს;

გ.ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების პროგრამებს და მათი დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;

გ.გ) აგრეგირებულ მაჩვენებლებს რესპუბლიკური ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ;

დ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით;

ე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამებს და მათი დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო არა უგვიანეს 25 ივლისისა იწონებს პრიორიტეტების დოკუმენტს (გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა).

### **მუხლი 117**

1. მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ არა უგვიანეს 25 აგვისტოსი. საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:

ა.ა) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;

ა.ბ) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;

ა.გ) მხარჯავი დაწესებულებისათვის დამტკიცებულ და საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;

ა.დ) ინფორმაციას დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ;

ბ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს, მათ დაფინანსებას, აღწერას, მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებს;

გ) ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ.

2. მხარჯავი დაწესებულების მიერ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 95-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ.გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების ზევით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საბიუჯეტო განაცხადის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ საბიუჯეტო განაცხადით გათვალისწინებული ფორმით.

3. თუ საბიუჯეტო განაცხადში ასახული ინფორმაცია განსხვავებული იქნება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 95-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ.ბ“, „გ.გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისაგან, მხარჯავმა დაწესებულებამ საბიუჯეტო განაცხადთან ერთად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში უნდა წარადგინოს ინფორმაცია ამ განსხვავების მიზეზების შესახებ.

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში უმაღლესი საბჭოსთვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით, რის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომა დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა. უმაღლესი საბჭო თავად იღებს გადაწყვეტილებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში უმაღლესი საბჭოსთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების განაწილების თაობაზე. (სსმ, N240-ს, 7 თებერვალი 2017, ვებგვერდი, 13/02/2017, 010190030.51.060.016010)

## მუხლი 118

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს წარუდგენს მთავრობას არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა.

2. მხარჯავ დაწესებულებებსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს შორის შეუთანხმებელ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტს მთავრობას წარუდგენს არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა.

## მუხლი 119

1. მთავრობის თავმჯდომარე არა უგვიანეს 1 ნოემბრისა წარუდგენს უმაღლეს საბჭოს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტი.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;

გ) რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

დ) რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ე) სარეზერვო ფონდის მოცულობას;

ვ) პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებულ მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;

ზ) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

4. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

ა) რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას რესპუბლიკური ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ;

ბ) მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;

გ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

5. ამ მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ინფორმაცია, გარდა იმავე ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისა, წარდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის.

6. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

7. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს უმაღლეს საბჭოში წარდგენისთანავე.

## მუხლი 120

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის უმაღლეს საბჭოში განხილვის გრაფიკის პროექტს ადგენს საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისია, რომელსაც ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე მათი განხილვის გრაფიკი, დამტკიცების მომდევნო დღეს ეგზავნება კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს ცალკეულ წევრებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტს, ხოლო მთავრობას – მხოლოდ განხილვის გრაფიკი. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ., 010190030.51.060.016007)

3. დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტს განიხილავენ კომისიები და ფრაქციები.

ისინი ამზადებენ შესაბამის დასკვნებს, რომლებიც ეგზავნება საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიას. კომისიების მიერ, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 39-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, შესაძლებელია ერთობლივი სხდომის ჩატარება და კომისიების ერთობლივი დასკვნის მომზადებაც.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად განხილვას ორგანიზებას უწევს საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისია, რომელიც უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს ინფორმაციას მათი განხილვის მიმდინარეობის თაობაზე.

5. კომისიებისა და ფრაქციების მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვას, საჭიროების შემთხვევაში, ესწრება მთავრობის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი.

6. საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისია სხვა კომისიების, ფრაქციების, უმაღლესი საბჭოს იმ წევრთა, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში და უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნებს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგენს დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის შემოსვლიდან არა უგვიანეს 14 დღისა.

7. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, წარმოდგენილი დასკვნების განხილვის შემდეგ მზადდება შენიშვნის ფურცელი, რომელიც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ მომდევნო დღეს ეგზავნება მთავრობის თავმჯდომარეს.

8. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების მთავრობის თავმჯდომარისათვის გადაგზავნის შემდგომ, არა უგვიანეს ერთი კვირისა, მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს წარმოდგენს ინფორმაციას წარდგენილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ.

9. წინადადებები (შენიშვნები), რომელთა გათვალისწინებაზეც მთავრობამ თანხმობა განაცხადა, უნდა აისახოს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში. ასეთ შემთხვევაში კანონპროექტის თითოეული გვერდი ვიზირებული უნდა იქნეს ამისათვის უფლებამოსილი პირის მიერ.

## მუხლი 121

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განიხილება ამ თავით დადგენილი წესით.

2. უმაღლესი საბჭოს სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს და მოხსენებას მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარადგენს მთავრობის თავმჯდომარე ან მთავრობის რომელიმე წევრი, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიღებული დავალებით. უმაღლესი საბჭო ასევე ისმენს საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის მოხსენებებს.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებასთან დაკავშირებით **აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტი** უმაღლესი საბჭოს შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე წარუდგენს თავის მოხსენებას. მოხსენებასთან ერთად უმაღლეს საბჭოს წარედგინება **აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის** დასკვნა რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტისა და ამ პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების თაობაზე. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენისას მთავრობის თავმჯდომარის ან მთავრობის წევრის გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 60 წუთს, რომლის გაგრძელება შესაძლებელია უმაღლესი საბჭოს მოთხოვნით. მთავრობის თავმჯდომარის ან მთავრობის წევრის მოხსენების შემდეგ, სიტყვით არა უმეტეს 30 წუთის ხანგრძლივობისა, გამოდის თანამომხსენებელი – საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის წარმომადგენელი.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის შესახებ სიტყვით, არა უმეტეს 10 წუთის ხანგრძლივობისა, გამოდის კომისიებისა და ფრაქციების წარმომადგენლები.



6. გამოსვლების დასრულების შემდეგ იმართება კამათი, რომელიც მიმდინარეობს კანონპროექტის განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

7. კამათის დამთავრების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს აყენებს კენჭისყრაზე.

### **მუხლი 122**

1. უმაღლესი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი დამტკიცებული უნდა იქნეს მომდევნო საბიუჯეტო წლის დაწყებამდე (გამონაკლის შემთხვევებში – არა უგვიანეს 1 მარტისა).

2. თუ უმაღლესი საბჭო ვერ დაამტკიცებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს მომდევნო საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, შესაძლებელია რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის იმავე ან მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრთა შემთანხმებული კომისიის მონაწილეობით გადამუშავებულ ვარიანტს ხელახლა ეყაროს კენჭი.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი და მისი დანართები ქვეყნდება დადგენილი წესით. ისინი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

4. თუ მომდევნო საბიუჯეტო წლის დაწყებამდე უმაღლესი საბჭო ვერ დაამტკიცებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს, აუცილებელი საბიუჯეტო ხარჯები დაიფარება წინა წლის საბიუჯეტო ხარჯების მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საბიუჯეტო წლის დაწყებამდე რესპუბლიკური ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებამდე აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილი არის მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არა უმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა.

6. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის განხილვისა და მიღების მიზნით, შესაბამისი კანონპროექტის განხილვის პროცედურების დაწყების თაობაზე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად მტკიცდება რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვის ახალი ვადების გრაფიკი.

7. კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას, უმაღლესი საბჭოს სხდომაზე შეიძლება განხილულ იქნეს მისი წარდგენიდან ერთი თვის შემდეგ;

8. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებას.

## **თავი XXV**

### **რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის განხილვა და მიღება**

### **მუხლი 123**

1. წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესისა, საჭიროებს წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვისა და მიღების წესი განისაზღვრება ამ რეგლამენტის შესაბამისად.

### **მუხლი 124**

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს, ვალდებულების აღებამდე და ხარჯის გაწევამდე მთავრობის თავმჯდომარე წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

2. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის განსახილველი პროექტი, რომელიც გავლენას ახდენს რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებული შემოსულობების ან/და გადასახდელების პროგნოზზე,

უმაღლესი საბჭოს მიერ შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ახლავს კანონის პროექტი რესპუბლიკურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აღნიშნული კანონის პროექტი უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონის პროექტი – უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებული რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტზე დართული მასალები უნდა შეიცავდეს რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო შედეგის პროგნოზებს.

### **მუხლი 125**

1. სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან/და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა შეესაბამებოდეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის საბიუჯეტო პარამეტრებს.

2. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ზრდის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გადასახდელების ოდენობას ან ამცირებს მის შემოსავლებს, კომპენსირებული უნდა იქნეს ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ.

### **მუხლი 126**

1. მთავრობიდან მიღებული რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის მიღებიდან 2 დღის ვადაში უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს პროექტის განხილვის გრაფიკს და დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტი, ასევე ამ პროექტის განხილვის გრაფიკი ეგზავნება კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს წევრებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, აგრეთვე **აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტს**. მთავრობას ეგზავნება მხოლოდ განხილვის გრაფიკი. საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის შემაჯამებელ სხდომამდე 2 დღით ადრე **აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტი** უმაღლეს საბჭოს წარუდგენს დასკვნას რესპუბლიკურ ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის ხარჯების კანონიერებისა და საფუძვლიანობის თაობაზე. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

3. კომისიები, ფრაქციები, რომლებმაც განიხილეს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტი, ამზადებენ შესაბამის დასკვნებს, რომლებიც ეგზავნება საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიას. შესაძლებელია კომისიების მიერ ერთობლივი დასკვნის მომზადება.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის დადგენილი წესით განხილვასა და შეთანხმებას ორგანიზებას უწევს საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისია, რომელიც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგენს ინფორმაციას პროექტის განხილვისა და შეთანხმების მიმდინარეობის თაობაზე.

5. საკომისიო განხილვების დროს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრთან ან მის მოადგილესთან ერთად წარადგენს შესაბამისი სამინისტროს მინისტრი ან მისი მოადგილე და ესწრება **აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსი** ან მისი წარმომადგენელი, ხოლო ფრაქციებში განხილვის დროს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს წარადგენს აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ან მისი მოადგილე. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

6. საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის, კომისიების, ფრაქციების, უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნებს, რომლებმაც განიხილეს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტი, წარუდგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

7. მთავრობის მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის უმაღლეს საბჭოში წარდგენიდან 7 დღის ვადაში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე შესაბამის დასკვნებს უგზავნის მთავრობას.

8. მთავრობა რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის გადამუშავებულ პროექტს (რომლის თითოეული გვერდი ვიზირებულია პროექტის მომზადებისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ) განსახილველად წარუდგენს უმაღლეს საბჭოს დასკვნებისა და წინადადებების (შენიშვნების) მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. პროექტს უნდა ერთოდეს ინფორმაცია წარდგენილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ, თითოეული მათგანის გათვალისწინების მდგომარეობის მითითებით.

9. წინადადებები (შენიშვნები), რომელთა გათვალისწინებაზედაც მთავრობამ თანხმობა განაცხადა, გათვალისწინებული უნდა იქნეს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტში.

10. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის გადამუშავებული პროექტი უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენიდან 1 დღის ვადაში ეგზავნება კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს წევრებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტს (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

## **მუხლი 127**

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს უმაღლესი საბჭო პლენარულ სხდომაზე განიხილავს მთავრობის მიერ პროექტის გადამუშავებული ვარიანტის წარდგენიდან არა უგვიანეს 5 დღისა. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს წარადგენს მთავრობის თავმჯდომარე ან მთავრობის თავმჯდომარის შესაბამისი აქტივით განსაზღვრული პირი. უმაღლესი საბჭო ასევე ისმენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის და საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის მოხსენებებს. პროექტის განხილვა იწყება მთავრობის წევრის მოხსენებით. მისი მოხსენების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1 საათს, რომლის გაგრძელება შესაძლებელია უმაღლესი საბჭოს მოთხოვნით. მთავრობის წევრის მოხსენების შემდეგ სიტყვით არა უმეტეს 30 წუთის ხანგრძლივობისა გამოდის თანამომხსენებელი – საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის წარმომადგენელი. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის თაობაზე სიტყვით არა უმეტეს 20 წუთის ხანგრძლივობისა გამოდის:

ა) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, რომელიც წარმოადგენს დასკვნას რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ გადამუშავებული კანონის პროექტის თაობაზე; (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

ბ) კომისიების წარმომადგენლები, რომლებიც წარმოადგენენ ამ კომისიების დასკვნებს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის თაობაზე.

3. კომისიების, ფრაქციების წარმომადგენლებს, ცალკეულ უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ კანონპროექტის განხილვისას ამ რეგლამენტით დადგენილი წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს ან გამოვიდნენ სიტყვით.

4. გამოსვლების დასრულების შემდეგ დასკვნითი სიტყვით არა უმეტეს 30 წუთის ხანგრძლივობისა გამოდის მთავრობის წევრი. მას უფლება აქვს შესთავაზოს უმაღლეს საბჭოს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის მიღება.

5. უმაღლესი საბჭო რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

6. თუ უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს, შესაძლებელია რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის იმავე ვარიანტს ან მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრთა შემთანხმებული კომისიის მონაწილეობით გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი.

7. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონი ქვეყნდება დადგენილი წესით. ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

## კარი VII

**უმაღლესი საბჭოს ურთიერთობა საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს მთავრობასთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან და სხვა ორგანოებთან**

(სსმ,#236, 07/09/2016, ვებგვერდი,12/09/2016, 010190003.51.060.016009)

## თავი XXVI

**უმაღლესი საბჭოს ურთიერთობა საქართველოს პარლამენტთან და საქართველოს მთავრობასთან**

(სსმ,#236, 07/09/2016, ვებგვერდი,12/09/2016, 010190003.51.060.016009)

### მუხლი 128

1. საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების საკანონმდებლო პროცესების კოორდინაციის მიზნით საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების წარმომადგენლებისაგან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით იქმნება ერთობლივი საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით მისი ერთ-ერთი მოადგილე.

2. ერთობლივ საკოორდინაციო საბჭოში შედიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეების მიერ დანიშნული სამ-სამი წევრი.

3. ერთობლივ საკოორდინაციო საბჭოს სხდომები იმართება თვეში ერთხელ მაინც.

**მუხლი 128<sup>1</sup>** (სსმ,#236, 07/09/2016, ვებგვერდი,12/09/2016, 010190003.51.060.016009)

(ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)

1. უმაღლესი საბჭო, თავისი შემადგენლობიდან უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა, ფარული კენჭისყრით ირჩევს საჯარო სამსახურის საბჭოს 1 წევრს 4 წლის ვადით.
2. საჯარო სამსახურის საბჭოს წევრობის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, კომისიას, ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ხუთკაციან ჯგუფს.
3. კანდიდატის დასახელების შესახებ განცხადება წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც ადგენს კანდიდატთა ერთიან სიას დასახელების რიგითობის მიხედვით.
4. კანდიდატის დასახელების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე წარადგენს კანდიდატთა სიას. კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. თითოეულ კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.
5. თუ არჩევნებში ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და ვერ აირჩა, მაშინ ტარდება ხელახალი არჩევნები. თუ არჩევნებში 2 კანდიდატი მონაწილეობდა და ვერც ერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, მაშინ იმ კანდიდატს, რომელმაც მეტი ხმა დააგროვა, ხელახლა ეყრება კენჭი. თუ მან ამ შემთხვევაში ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, ტარდება ხელახალი არჩევნები.
6. თუ არჩევნებში ორზე მეტი კანდიდატი მონაწილეობდა და ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, მაშინ ტარდება არჩევნების მომდევნო ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. თუ მომდევნო ტურში გასულმა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, მის ნაცვლად კენჭი ეყრება მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატურას. კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას ტარდება ხელახალი კენჭისყრა. ყოველი კენჭისყრის წინ კანდიდატი უფლებამოსილია მოხსნას თავისი კანდიდატურა.
7. უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეულ საჯარო სამსახურის საბჭოს წევრს საჯარო სამსახურის საბჭოს წევრის უფლებამოსილება უწყდება, მისი როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე.
8. უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული საჯარო სამსახურის საბჭოს წევრის გამოწვევის საკითხის ინიცირება სათანადო წერილობითი დადასტურების შემთხვევაში შეუძლია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ხუთკაციან ჯგუფს.
9. უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული საჯარო სამსახურის საბჭოს წევრი, საჯარო სამსახურის საბჭოდან გამოწვეულად ჩაითვლება, თუ აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ უმაღლესი საბჭოს სიით შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით.
10. უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული საჯარო სამსახურის საბჭოს წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განაცხადოს მისთვის საჯარო სამსახურის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, რის თაობაზეც შესაბამისი განცხადება წარედგინება უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც მას გააცნობს უმაღლესი საბჭოს. უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული საჯარო სამსახურის საბჭოს წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება შესაბამისი განცხადების პრეზიდიუმისათვის წარდგენის დღიდან. უმაღლესი საბჭო ცნობად იღებს აღნიშნულ ფაქტს, რაც ფორმდება პლენარული სხდომის საოქმო ჩანაწერით.
11. უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული საჯარო სამსახურის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, საჯარო სამსახურის საბჭოს წევრს უმაღლესი საბჭო ირჩევს დადგენილი წესით უახლოეს სხდომაზე.

## **თავი XXVII**

### **მთავრობის დამტკიცება**

#### **მუხლი 129**

1. უმაღლესი საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნა და გათავისუფლება საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, აგრეთვე მთავრობის შემადგენლობის დამტკიცება მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით.

2. მთავრობა პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში - საქართველოს პრეზიდენტისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

3. მთავრობა თავისი მუშაობის შესახებ ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს.

### **მუხლი 130**

1. კომისიები და ფრაქციები 3 დღის ვადაში განიხილავენ მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის დამტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

2. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კომისიებისა და ფრაქციების დასკვნების საფუძველზე 5 დღის ვადაში განიხილავს მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის დამტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხს და იღებს მოტივირებულ დასკვნას, რომელიც წარედგინება საქართველოს პრეზიდენტსა და უმაღლეს საბჭოს.

3. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის მომდევნო სამუშაო დღეს უმაღლესი საბჭო კანონპროექტის განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით სხდომაზე განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის თავმჯდომარის დამტკიცების საკითხს.

4. მთავრობის თავმჯდომარე დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

### **მუხლი 131**

1. მთავრობის თავმჯდომარის დამტკიცებიდან 7 დღის ვადაში, მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას.

2. კომისიები და ფრაქციები, მთავრობის თავმჯდომარის მიერ მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან 3 დღის ვადაში, დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით განიხილავენ მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამის დამტკიცების საკითხს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

3. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კომისიებისა და ფრაქციების დასკვნების საფუძველზე, მთავრობის თავმჯდომარის მიერ მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან 5 დღის ვადაში განიხილავს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამის დამტკიცების საკითხს და იღებს დასკვნას, რომელიც წარედგინება მთავრობის თავმჯდომარესა და უმაღლეს საბჭოს.

4. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის მომდევნო დღეს უმაღლესი საბჭო კანონპროექტის განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით პლენარულ სხდომაზე განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამის დამტკიცების საკითხს.

5. უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამის დამტკიცებისათვის საჭიროა უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

6. უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია არ დაამტკიცოს მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა.

7. თუ მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა არ დამტკიცდა, მთავრობის თავმჯდომარე 3 დღის ვადაში წარადგენს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას. ამ შემთხვევაში უმაღლესი საბჭო ახორციელებს ამ მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პროცედურებს.

8. აფხაზეთის მთავრობასა და უმაღლეს საბჭოს შორის წარმოშობილი დავის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

### **მუხლი 132**

1. მთავრობის ცალკეული წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში აფხაზეთის მთავრობის შესაბამის ახალ წევრს ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარე.

2. თუ უმაღლეს საბჭოს მიერ მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ, მთავრობის შემადგენლობა ნახევარზე მეტით განახლდა, მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.

### **მუხლი 133**

თუ მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის ან მთავრობის შემადგენლობის წარდგენა ემთხვევა უმაღლესი საბჭოს არდადეგებს ან არასასესიო კვირას, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით მოიწვევა რიგგარეშე სესია ან სხდომა.

### **მუხლი 134**

1. მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს წელიწადში ერთხელ, საშემოდგომო სესიის პლენარული სხდომების კვირაში, წარუდგენს ანგარიშს სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. უმაღლეს საბჭოს უფლება აქვს მთავრობის თავმჯდომარეს მოთხოვოს სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის რიგგარეშე წარდგენა. მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლეს საბჭოსათვის ანგარიშის წარდგენის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭო იღებს კომისიის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა, რაც ფორმდება საოქმო ჩანაწერით და დაუყოვნებლივ ეგზავნება ადრესატს.

3. მთავრობის თავმჯდომარე შესაბამის ანგარიშს უმაღლეს საბჭოს წარუდგენს სათანადო მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში.

### **მუხლი 135**

1. უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, კომისიის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მეოთხედისა, მიიღოს გადაწყვეტილება პლენარულ სხდომაზე მთავრობის წევრის მოწვევის, განსახილველი საკითხისა და პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის თარიღის შესახებ, რაც ფორმდება საოქმო ჩანაწერით და დაუყოვნებლივ ეგზავნება ადრესატს.

2. მთავრობის წევრის მოხსენება უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განიხილება სამთავრობო საათისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. მოხსენება შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი.

3. მთავრობის წევრის მოხსენებისა და ინფორმაციის მოსმენის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს დადგენილება.

### **მუხლი 136**

1. მთავრობის წევრი, მოთხოვნის შემთხვევაში ესწრება კომისიის სხდომას, უფლებამოსილია პასუხი გასცეს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წერილობით წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

2. მოთხოვნა, წერილობითი ფორმით, შესაბამის სხდომამდე 10 დღით ადრე წარედგინება მთავრობის წევრს. კომისია მოთხოვნის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სითი შემადგენლობის უმრავლესობით.

3. მთავრობის წევრს მოთხოვნისთანავე მოუსმენს უმაღლესი საბჭო, კომისია.

4. მთავრობის წევრმა უმაღლესი საბჭოსადმი მიმართვამდე არა უგვიანეს 3 დღისა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს წერილობით უნდა წარუდგინოს ის საკითხები, რომლებზედაც მას აქვს უმაღლესი საბჭოსადმი მიმართვის სურვილი. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს აპარატის მეშვეობით უზრუნველყოფს მთავრობის წევრის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მიმართვის დაუყოვნებლივ დაგზავნას ფრაქციებისათვის.

5. მთავრობის წევრის მიმართვა პლენარულ სხდომაზე არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია გააგრძელოს სხდომის თავმჯდომარემ 10 წუთით.

6. მთავრობის წევრის მიმართვის დასრულების შემდეგ უმაღლესი საბჭოს წევრებს შეუძლიათ მთავრობის წევრს დაუსვან შეკითხვები მხოლოდ მის მიერ წინასწარ წარდგენილ საკითხებზე.

თითოეული შეკითხვის ავტორისათვის გამოყოფილი დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს. ამასთანავე, მას შეუძლია დაზუსტებისათვის ისარგებლოს არა უმეტეს 1 წუთით. შეკითხვების დასრულების შემდეგ მთავრობის წევრი უმაღლესი საბჭოს წევრთა შეკითხვებს ერთობლივად პასუხობს.

7. შეკითხვებზე პასუხის გაცემის დასრულების შემდეგ ამ რეგლამენტის 79-ე მუხლის შესაბამისად შეიძლება გაიმართოს პოლიტიკური დებატები.

## თავი XXVIII

### აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსის დანიშვნაზე და გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის პროცედურები

(სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

#### მუხლი 137

1. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხს საქართველოს გენერალური აუდიტორის მიერ სათანადო კანდიდატურის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენიდან 5 დღის ვადაში განიხილავენ კომისიები და ფრაქციები. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

2. კომისიებისა და ფრაქციების დასკვნის საფუძველზე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი პირველსავე სხდომაზე განიხილავს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხს და იღებს დასკვნას, რომელიც წარედგინება უმაღლეს საბჭოს. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

3. უმაღლესი საბჭო, პლენარულ სხდომაზე, საქართველოს გენერალურ აუდიტორს დადგენილებით აძლევს თანხმობას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსის დანიშვნაზე. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

4. თუ საქართველოს გენერალური აუდიტორი ვერ მიიღებს თანხმობას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსის დანიშვნაზე, იგი უფლებამოსილია ხელახლა წარადგინოს იგივე ან სხვა კანდიდატურა. ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

5. საქართველოს კანონის „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საფუძველზე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსის განთავისუფლებაზე თანხმობის მიცემის საკითხი საქართველოს გენერალური აუდიტორის მიერ უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენიდან 5 დღის ვადაში განიხილება კომისიებსა და ფრაქციებში. კომისიები და ფრაქციები უფლებამოსილი არიან მოითხოვონ და მიიღონ ინფორმაცია, მონაცემები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კომისიები განხილვის შედეგად ამზადებენ დასკვნას. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

6. უმაღლესი საბჭო, პლენარულ სხდომაზე, საქართველოს გენერალურ აუდიტორს დადგენილებით აძლევს თანხმობას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსის განთავისუფლებაზე. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

## კარი VIII

### უმაღლესი საბჭოს საკონტროლო ფუნქციები

## თავი XXIX

### უმაღლესი საბჭოს საკონტროლო საქმიანობის წესი

#### მუხლი 138

1. უმაღლესი საბჭო უშუალოდ და მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, კანონების, უმაღლესი საბჭოს სხვა აქტების შესრულებას, განსაზღვრავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, დადგენილი წესით ამტკიცებს მთავრობის შემადგენლობას, კონტროლს უწევს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური



უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების უზრუნველყოფას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებას, უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული, დანიშნული, დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას.

2. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომა, პრეზიდიუმი, კომისია უფლებამოსილი არიან ცალკეული აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის შემუშავების მიზნით, უმაღლესი საბჭოს წევრთაგან დანიშნონ მომხსენებელი ან მომხსენებელთა ჯგუფი, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მთავარ მომხსენებელს. მომხსენებელი ადგენს საკითხის შესწავლის გეგმასა და გრაფიკს, განსაზღვრავს მასში მონაწილე სპეციალისტებს, ხელმძღვანელობს საკითხის შესწავლას, პასუხისმგებელია მის დამუშავებაზე და გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაზე. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის მიერ დანიშნულ მომხსენებელს უფლება აქვს ადმინისტრაციული ორგანოსაგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია და ნებისმიერ საკითხზე ახსნა-განმარტება. მომხსენებელი გადაწყვეტილების პროექტს განსახილველად წარუდგენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ან კომისიის სხდომას.

### **მუხლი 139**

საქართველოს მოქალაქეები, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და თანამდებობის პირები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები უფლებამოსილი არიან განცხადებით მიმართონ უმაღლესი საბჭოს წევრებს, ორგანოებსა და თანამდებობის პირებს.

### **მუხლი 140**

1. უმაღლესი საბჭოს მუშაობის მოქალაქეთათვის გაცნობას, მათ საჩივრებსა და განცხადებებზე ოპერატიულ რეაგირებას უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს აპარატი.

2. დაუშვებელია სათანადო შესწავლის (შესწავლის გეგმის, ვადის დადგენის, პასუხისმგებელი პირების გამოყოფის) გარეშე უმაღლეს საბჭოში შემოსული განცხადებებისა და საჩივრების გადაგზავნა ქვემდებარეობის მიხედვით.

3. უმაღლესი საბჭოს წევრები, სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან განიხილონ განცხადება-საჩივრები და მათზე მოახდინონ სათანადო რეაგირება.

4. პლენარული სხდომების კვირის გარდა, უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირებთან და უმაღლესი საბჭოს წევრებთან ორშაბათსა და პარასკევს (თუ ეს არ არის უმაღლესი საბჭოს წევრთა ამომრჩევლებთან ადგილზე შეხვედრების დღე), როგორც წესი წარმოებს მოქალაქეთა მიღება. თანამდებობის პირი, უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია შეხვედეს მოქალაქეს. იგი პასუხისმგებელია მიღებული განცხადება-საჩივრის შესწავლა-განხილვაზე და სათანადო რეაგირებაზე.

## **თავი XXX**

### **უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა, უმაღლესი საბჭოს წევრთა ხუთკაციანი ჯგუფისა და ფრაქციის შეკითხვა, სამთავრობო საათი**

### **მუხლი 141**

1. უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებას და მათგან მიიღოს პასუხი. კითხვა შეიძლება დასმულ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. თითოეული ორგანო და თანამდებობის პირი, რომელსაც კითხვით მიმართეს, ვალდებულია უმაღლეს საბჭოს კითხვის მიღებიდან 10 დღეში წარუდგინოს წერილობითი პასუხი. შესაბამის თანამდებობის პირს კითხვის ავტორთან შეთანხმებით კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა შეიძლება გაუგრძელდეს 5 დღით.

2. უმაღლესი საბჭოს წევრთა ხუთკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, თანამდებობის პირს, რომლებიც ვალდებულნი არიან დასმულ შეკითხვას უპასუხონ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე. შეკითხვა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარედგინება უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას. თანამდებობის პირს უფლება აქვს კითხვასა და შეკითხვას პასუხი არ გასცეს თუ ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავს.

3. პასუხს ხელს აწერენ მხოლოდ ამ მუხლში ჩამოთვლილი სუბიექტები ან შესაბამის ორგანოთა ხელმძღვანელი პირები.

4. უმაღლესი საბჭოს წევრს, უმაღლესი საბჭოს წევრთა ხუთკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს ნებისმიერ დროს უკან გამოითხოვოს საკუთარი კითხვა ან შეკითხვა.

#### **მუხლი 142**

1. ზეპირი შეკითხვა შეიძლება დაისვას უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე.

2. წერილობითი შეკითხვის ტექსტი ბარდება უმაღლესი საბჭოს აპარატს, რომელიც მას სპეციალურ დავთარში აღრიცხავს.

3. ზეპირ შეკითხვას 1 დღის ვადაში წერილობით აფორმებს უმაღლესი საბჭოს აპარატი და ხელმოწერით ადასტურებს შეკითხვის ავტორი, რის შემდეგაც აპარატი შეკითხვას სპეციალურ დავთარში აღრიცხავს.

4. წერილობით შეკითხვას და წერილობით გაფორმებულ ზეპირ შეკითხვას უმაღლესი საბჭოს აპარატი ადრესატს გადასცემს არა უგვიანეს 1 დღისა.

5. შეკითხვის ავტორისა და შეკითხვის ადრესატის შეთანხმებით შეკითხვაზე პასუხის გაცემის ვადაში შეიძლება გადაიწიოს მომდევნო სამთავრობო საათამდე.

6. ის შეკითხვა, რომელსაც პასუხი არ გაეცემა ამ მუხლით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით, ავტომატურად დაისმება უახლოეს სამთავრობო საათზე.

#### **მუხლი 143**

1. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე შეკითხვაზე პასუხისათვის დროს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე შესაბამის თანამდებობის პირთან შეთანხმებით.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს ცალკეული საკითხის დაზუსტებისათვის მომხსენებელს მიმართოს ერთხელ, არა უმეტეს 3 წუთისა. მომხსენებლის საბოლოო პასუხის გაცემის შემდეგ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოსვლები მთავრდება.

#### **მუხლი 144**

სამთავრობო საათზე მოსმენილი საკითხები შეიძლება გახდეს უმაღლესი საბჭოს განხილვის საგანი, რისთვისაც გადაწყვეტილების პროექტის მოსამზადებლად შეიძლება შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის საკითხების ინიციატორთა არანაკლებ თითო წარმომადგენელი.

#### **მუხლი 145**

უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული, დანიშნული, დამტკიცებული სხვა პირი და ის თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზედაც თანხმობა მისცა უმაღლესმა საბჭომ, მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს უმაღლესი საბჭოს, კომისიის სხდომებს, დადგენილ ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები, სხვა მასალები და განმარტება მისცეს განსახილველ საკითხზე. ამ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე მოუსმენს უმაღლესი საბჭო, კომისია.

### **თავი XXXI კომისიების ანგარიშები**

#### **მუხლი 146**

1. კომისიების თავმჯდომარეები საშემოდგომო სესიის დაწყებისთანავე წარუდგენენ უმაღლეს საბჭოს გაწეული საქმიანობის წერილობით ანგარიშებს ყოველი წლის შედეგების მიხედვით.

2. ანგარიში წარედგინება უმაღლესი საბჭოს აპარატს, რომელიც დაუყოვნებლივ უგზავნის მას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, პრეზიდიუმს, ფრაქციას.

3. უმაღლესი საბჭოს ანგარიშების განხილვის საკითხი შეაქვს საშემოდგომო სესიის პირველსავე პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

4. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე ანგარიშის თაობაზე მომხსენებლის გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს (აუცილებლობის შემთხვევაში გამოსვლის ხანგრძლივობა სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით 30 წუთამდე შეიძლება გაგრძელდეს).

5. მომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ ანგარიშის თაობაზე შეკითხვით მიმართონ მას. თითოეული შეკითხვის ავტორისათვის გამოყოფილი დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს, ამასთანავე, მას შეუძლია დაზუსტებისათვის ისარგებლოს არა უმეტეს 1 წუთისა. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს შეკითხვისა და დაზუსტებისათვის გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ. მომხსენებელი დასმულ შეკითხვებს უპასუხებს ცალ-ცალკე.

6. მომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ სიტყვით გამოდიან ფრაქციების წარმომადგენლები და სხდომას მოახსენებენ თავიანთ პოზიციას წარდგენილი ანგარიშის თაობაზე. ფრაქციის წარმომადგენლის გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.

7. ფრაქციის წარმომადგენელთა გამოსვლების დასრულების შემდეგ დასკვნითი სიტყვით, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, გამოდის მომხსენებელი.

8. უმაღლესი საბჭო ცნობად იღებს კომისიის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს.

## კარი IX

### განსაკუთრებული პროცედურები

#### თავი XXXII

#### რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება

##### მუხლი 147

1. უმაღლესი საბჭო საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიისა და სხვა კომისიების მეშვეობით ახორციელებს საერთო, თანმიმდევრულ კონტროლს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე.

2. მთავრობა ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში უმაღლეს საბჭოს წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

3. საბიუჯეტო წლის განმავლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას ყოველკვარტალურად განიხილავენ კომისიები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით მოითხოვონ და მიიღონ საჭირო ინფორმაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებადი საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან. საკომისიო განხილვებს ორგანიზებას უწევს საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისია. აუცილებლობის შემთხვევაში, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის განხილვის შედეგები მოხსენდება უმაღლეს საბჭოს და შეიძლება უმაღლესი საბჭოს განხილვის საგანიც გახდეს.

##### მუხლი 148

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს მთავრობა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

2. მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარდგენილი რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის კომისიებში განხილვას ორგანიზებას უწევს საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისია.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში ორი დღის ვადაში გადაეცემა უმაღლესი საბჭოს კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს ცალკეულ წევრებს და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტს. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიღებიდან ორი დღის ვადაში, საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის გრაფიკის პროექტის შედგენას, რომელსაც ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

5. საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საჭიროების შემთხვევაში, წარუდგენს ინფორმაციას რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის უმაღლეს საბჭოში განხილვის მიმდინარეობის შესახებ.

6. კომისიები განიხილავენ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, თავიანთ დასკვნებს უგზავნიან საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიას, რომელიც თავის დასკვნასთან ერთად განსახილველად წარუდგენს მათ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

7. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტი მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლეს საბჭოში რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენის დღიდან არა უგვიანეს 1 თვისა, უმაღლეს საბჭოს წარუდგენს მოხსენებას ამ ანგარიშის თაობაზე. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

8. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტი საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში განსახილველად წარუდგენს უმაღლეს საბჭოს. (სსმ. #212-ს, ვებგვერდი, 15.08.2014წ.,010190030.51.060.016007)

#### **მუხლი 149**

1. უმაღლესი საბჭოს სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის შემდეგ, არა უგვიანეს 1 მაისისა, უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

2. უმაღლესი საბჭოს სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება მიმდინარეობს ამ რეგლამენტით კანონის პროექტის განხილვისათვის დადგენილი წესით.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მტკიცდება იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად და სრულად ასახავს გასულ საბიუჯეტო წელს ბიუჯეტში შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობებს, ხარჯების კანონიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლეს საბჭოს შეუძლია არ დაამტკიცოს ანგარიში.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება ხორციელდება საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

### **თავი XXXIII**

#### **უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის ფორმირება**

#### **მუხლი 150**

1. უმაღლესი საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს მორიგი საბიუჯეტო წლის კადრებისა და ასიგნებების ზღვრული ოდენობების პროექტის განსაზღვრა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენა ხდება არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ივნისისა.

2. უმაღლესი საბჭოს მორიგი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირება ხდება არა უგვიანეს მიმდინარე წლის 25 აგვისტოსი.

3. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი ფორმირდება კომისიების, ფრაქციების, უმაღლესი საბჭოს აპარატის წინადადებების საფუძველზე და ეგზავნება საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიას.

4. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტს თავის დასკვნასთან ერთად საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისია განსახილველად გადასცემს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. უმაღლესი

საბჭოს ბიუჯეტის პროექტში სხვა ხარჯებთან ერთად, როგორც წესი, მითითებული უნდა იყოს უმაღლესი საბჭოს თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის გათვალისწინებული ასიგნებანი.

5. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი მტკიცდება უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, დადგენილებით, არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე, რათა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ გათვალისწინებულ იქნეს მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში.

6. უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს უმაღლესი საბჭოსათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი გადანაწილების პროცენტული ოდენობის მიხედვით – უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

7. შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭოს აპარატის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახურის წარდგინების საფუძველზე იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

8. უმაღლეს საბჭოში საფინანსო საქმიანობას აკონტროლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის მეშვეობით.

9. უმაღლესი საბჭოს წევრის ხელფასიდან და სადეკუტატო უფლებამოსილების ანაზღაურებიდან ამ რეგლამენტით და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული დისციპლინარული დარღვევების შემთხვევებში, ხელფასიდან დაკავებული თანხები აისახება უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში. ასახული თანხების მიზნობრივად განკარგვის თაობაზე კონკრეტულ წინადადებებს ამზადებს საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისია. თანხის განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით, იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

10. არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

## კარი X

### უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

#### თავი XXXIV

#### უმაღლესი საბჭოს აპარატი

##### მუხლი 151

1. უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება უმაღლესი საბჭოს აპარატი, რომლის სტრუქტურა, ფუნქციები და მუშაობის წესი განისაზღვრება ამ რეგლამენტით და მის შესაბამისად აპარატის დებულებით.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის ფუნქციაა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, უმაღლესი საბჭოს წევრების, კომისიების, ფრაქციების, დროებითი კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

##### მუხლი 152

უმაღლესი საბჭოს აპარატი უზრუნველყოფს:

- ა) უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომების მომზადებას;
- ბ) უმაღლესი საბჭოს წევრებს პლენარული სხდომების დღის წესრიგით გათვალისწინებული კანონპროექტებით შესაბამისი სხდომის დადგომამდე;
- გ) უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის, კომისიების, ფრაქციების, დროებითი კომისიის სამართლებრივი, მატერიალურ-ტექნიკური, საფინანსო და სხვა საკითხების გადაწყვეტას;

დ) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომებზე კანონპროექტებისა და სხვა საკითხების განხილვისას გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვას;

ე) უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის მათი უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეწყობას;

ვ) უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, კომისიების, ფრაქციების, დროებითი კომისიის დავალებების შესრულებას;

ზ) უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობისა და უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის საინფორმაციო-საცნობარო და სხვა მასალების მომზადებას, უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აქტების კრებულის მომზადებას;

თ) სესიებს შორის პერიოდში საჭირო საინფორმაციო მასალების მომზადებასა და უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის მიწოდებას;

ი) პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი უმაღლესი საბჭოს, კომისიების, ფრაქციების, დროებითი კომისიის დოკუმენტების გამოქვეყნებასა და გაშუქებას.

### **მუხლი 153**

1. უმაღლესი საბჭოს აპარატს ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი არ შეიძლება იყოს უმაღლესი საბჭოს წევრი.

4. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობის დაშვების საკითხს წყვეტს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

5. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს, უმაღლესი საბჭოს აპარატის შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტების, უმაღლესი საბჭოს აპარატის სამსახურებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. შიდა აუდიტს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

### **მუხლი 154**

1. უმაღლესი საბჭოს აპარატის შემადგენლობაში სტრუქტურული ერთეულების სახით შედიან: დეპარტამენტები, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე, სამსახური, შიდა აუდიტი და კომისიების აპარატები, რომელთა შემადგენლობას, თანახმად დამტკიცებული საშტატო განრიგისა, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ხოლო კომისიებისა და ფრაქციების აპარატების – შესაბამისად კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარის წარდგინებით, “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის მუშაკთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება კანონმდებლობით, შესაბამისი სტრუქტურული საკოორდინაციო ერთეულის დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციით.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

4. უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესს ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

5. უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს შესაბამისი სტრუქტურული საკოორდინაციო ერთეულის უფროსთან შეთანხმებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

6. უმაღლესი საბჭოს აპარატში დასაშვებია პრაქტიკისა და სტაჟირების გავლა. პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის წესს ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

7. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი, კომისიების, ფრაქციების მოსაზრების გათვალისწინებით განსაზღვრავს აპარატის, მათ შორის შესაბამისად კომისიების, ფრაქციების აპარატების შტატებს, მუშაკთა შრომის ანაზღაურებას, სამუშაო პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს.

მუხლი 154<sup>1</sup> (სსმ.#205,27.06.2014წ, ვებგვერდი, 03.07.2014წ. 010190030.51.060.016006)

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საბჭოს თავმჯდომარეობს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით - მისი ერთ-ერთი მოადგილე. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს უმაღლესი საბჭოს აპარატი.

## კარი XI

### პასუხისმგებლობა რეგლამენტის დარღვევისათვის

#### თავი XXXV

#### რეგლამენტის დარღვევისათვის უმაღლესი საბჭოს წევრისა და თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა

##### მუხლი 155

რეგლამენტის დარღვევისათვის უმაღლესი საბჭოს წევრის მიმართ დაწესებულია ზემოქმედების შემდეგი ფორმები:

- ა) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე სიტყვის ჩამორთმევა;
- ბ) გაფრთხილება;
- გ) გაფრთხილება ოქმში შეტანით;
- დ) სხდომათა დარბაზის დატოვება;
- ე) ხელფასის დაკავება.

##### მუხლი 156

1. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს წევრს სიტყვას ჩამორთმევს, თუ იგი:

- ა) სიტყვით გამოდის სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე;
- ბ) სიტყვით გამოდის და არ მსჯელობს განსახილველ საკითხზე;
- გ) სიტყვა მიეცა პროცედურულ ან პირად საკითხებზე და თავის გამოსვლაში შეეხო სხვა საკითხებს;
- დ) აჭარბებს რეგლამენტით დადგენილ დროს ან იმ დროს, რომელიც მას გაუგრძელებს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

2. გაფრთხილება გამოიყენება იმ უმაღლესი საბჭოს წევრის მიმართ, რომელიც:

- ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სიტყვის ჩამორთმევის შემდეგაც განაგრძობს გამოსვლას;
- ბ) ჩაიდენს მოქმედებას, რომელიც იწვევს რეგლამენტით განსაზღვრული წესით წარმართული სხდომის შეფერხებას.

3. გაფრთხილება ოქმში შეტანით გამოიყენება, თუ უმაღლესი საბჭოს წევრი:

ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაფრთხილების შემდეგაც განაგრძობს გამოსვლას;

- ბ) არღვევს პერსონალურ საკითხებზე კენჭისყრის ფორმას;
- გ) უკვე გააფრთხილეს იმავე სხდომაზე და კიდევ საჭიროებს გაფრთხილებას.

4. სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნა გამოიყენება იმ უმაღლესი საბჭოს წევრის მიმართ:

ა) რომელმაც იმავე სხდომაზე უკვე მიიღო გაფრთხილება ოქმში შეტანით და იგი კვლავ არღვევს წესრიგს;

- ბ) რომელიც სხდომათა დარბაზში გამოცხადდა ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით;
- გ) რომელიც სჩადის ძალადობას ან ამგვარი მოქმედებისაკენ მოუწოდებს უმაღლესი საბჭოს წევრებს.

5. უმაღლესი საბჭოს წევრი, რომლის მიმართაც სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნა გამოიყენეს, ვალდებულია დატოვოს სხდომათა დარბაზი.

6. უმაღლესი საბჭოს წევრს, რომლის მიმართაც სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნა გამოიყენეს, დაეკვიტება სანქციის გამოყენების დღის ხელფასი და უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურება.

7. თუ უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელსაც ევალება პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის წარდგენა (მომხსენებელი ან თანამომხსენებელი), კანონპროექტის წარდგენის დროს არასაპატიო მიზეზით არ იმყოფება პლენარულ სხდომათა დარბაზში, მას დაუკავდება ხელფასის 20%. უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზში კანონპროექტის წარუდგენლობის ფაქტზე, სხდომის თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე, ფორმდება საოქმო ჩანაწერი, რომელიც ეგზავნება უმაღლესი საბჭოს აპარატის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახურს ამ პუნქტის შესაბამისად ხელფასის დასაკავებლად.

8. თუ უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც გაწევრიანებულია კომისიებში, კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება კომისიების სხდომას, მას დაუკავდება ხელფასის 10%-მდე. უმაღლესი საბჭოს წევრს სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად არ ჩაეთვლება, თუ კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა ამ რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევით. უმაღლესი საბჭოს წევრის კომისიის სხდომაზე დაუსწრებლობის ფაქტი ფორმდება საოქმო ჩანაწერით, კომისიის თავმჯდომარის მიერ აღირიცხება და ეგზავნება საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახურს შესაბამისი თვის ხელფასის დასაკავებლად.

9. თუ უმაღლესი საბჭოს წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას, მას დაუკავდება ხელფასის 50%. უმაღლესი საბჭოს წევრის პლენარულ სხდომაზე არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის ფაქტი ფორმდება საოქმო ჩანაწერით და კალენდარული თვის ბოლო პლენარულ სხდომაზე ცხადდება სხდომის თავმჯდომარის მიერ. მომდევნო თვის 10 რიცხვამდე უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმისწარმოების, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი საოქმო ჩანაწერების საფუძველზე ადგენს პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სიას და უგზავნის უმაღლესი საბჭოს აპარატის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახურს შესაბამისი თვის ხელფასის დასაკავებლად.

10. თუ კომისიის თავმჯდომარე არასაპატიო მიზეზით კალენდარული თვის განმავლობაში არ მოიწვევს კომისიის სხდომას, მას დაუკავდება თანხა 1 თვის ხელფასის ოდენობით. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს კომისიის სხდომის არჩატარების მიზეზს და იგი უფლებამოსილია დადგენილი წესით პლენარულ სხდომაზე დასვას კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი.

11. ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უმაღლესი საბჭოს წევრისათვის დაკავებული ხელფასის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი საბჭოს წევრის ხელფასის 50%-ს.

12. კომისია ყოველთვიურად ადგენს კომისიის სხდომების გამცდენი უმაღლესი საბჭოს წევრების სიას, თითოეული მათგანის მიერ გაცდენილი სხდომების რაოდენობისა და თარიღის მითითებით. კომისიის სხდომების გამცდენი უმაღლესი საბჭოს წევრების სია გადაეცემა იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას, რომელიც მონაცემების სისწორის შესწავლის შემდეგ რეაგირებისათვის დასკვნას წარუდგენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

## **მუხლი 157**

1. უმაღლესი საბჭოს წევრს, რომლის მიმართაც გამოიყენეს ამ რეგლამენტის 156-ე მუხლის მე-3-მე-4, მე-7-მე-10 პუნქტებით დაწესებული ზემოქმედების ფორმები, უფლება აქვს წერილობით შეიტანოს დასაბუთებული პროტესტი უმაღლესი საბჭოს მომდევნო პლენარული სხდომის დაწყებამდე. პროტესტის განხილვას კენჭი ეყრება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. განხილვის შემდეგ პროტესტი დაკმაყოფილებული იქნება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

2. უმაღლესი საბჭოს წევრის მიმართ ზემოქმედების რომელიმე ფორმის გამოყენების შემთხვევაში მომდევნო გამომსვლელებს უფლება არა აქვთ კამათის საგნად აქციონ წესრიგისაკენ მოწოდების საკითხი.

3. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის თავმჯდომარის მიერ რეგლამენტის სისტემატური და უხეში დარღვევისათვის შეიძლება კენჭისყრაზე დადგეს საკითხი მისთვის ოქმში შეტანით შენიშვნის გამოცხადების შესახებ. საკითხის დასმის უფლება აქვთ ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა ხუთკაციან ჯგუფს. გადაწყვეტილება მიიღება დადგენილებით.



**მუხლი 158**

1. რეგლამენტის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა კანონით და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით ეკისრება უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეულ, დანიშნულ ან დამტკიცებულ, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირებს, რომლებსაც ევალებათ უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობა.

2. თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება შემდეგი დარღვევებისათვის:

ა) მოწვეულია საკითხის განხილვაზე და არ ცხადდება;

ბ) არღვევს უმაღლესი საბჭოს წევრის შეკითხვაზე პასუხის გაცემისათვის დაწესებულ პროცედურას;

გ) არ ცხადდება უმაღლესი საბჭოს მოსმენაზე;

დ) უმაღლეს საბჭოს აწვდის დამახინჯებულ ან არასწორ ინფორმაციას;

ე) არ ასრულებს უმაღლესი საბჭოს დადგენილებებს;

ვ) დაბრკოლებებს უქმნის უმაღლესი საბჭოს წევრს ამ რეგლამენტითა და კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებათა განხორციელებაში.

3. ყოველ ასეთ შემთხვევაში იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე აყენებს საკითხს სათანადო რეაგირებისათვის. (სსმ., უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 23 აპრილის რეგლამენტი #200, ვებგვერდი, 24.04.2014წ.)

4. ამ რეგლამენტის დარღვევისათვის უმაღლესი საბჭო მიმართავს რეაგირების შემდეგ ფორმებს:

ა) იღებს დადგენილებას დარღვევის გამო კონკრეტული თანამდებობის პირების მიმართ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული სათანადო რეაგირების ზომების გასატარებლად;

ბ) წარდგინებით მიმართავს სახელმწიფო უწყებათა ხელმძღვანელებს მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის შესახებ.

5. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის სტუმარი ვალდებულია წესრიგი დაიცვას სხდომის დროს. მას ეკრძალება მოქმედება, რომელიც ხელს უშლის უმაღლესი საბჭოს ან უმაღლესი საბჭოს წევრს სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებაში. კენჭისყრისას მან თავი უნდა შეიკავოს შედეგისადმი პირადი დამოკიდებულების გამოხატვისაგან. წესრიგის დამრღვევ სტუმრებს უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის თავმჯდომარემ შეიძლება დაატოვებინოს სხდომათა დარბაზი.

**კარი XIII**

**გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**

**თავი XXXVII**

**გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**

**მუხლი 159**

1. ამ რეგლამენტის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 7 თებერვლის დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესახებ“ და მის შესაბამისად მიღებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი“ (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო მაცნე №4, 08.02.2006 წ.);

2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს განოქვეყნებისთანავე.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის**

**უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე**

**ელგუჯა გვაზავა**

**ქ. თბილისი,**

**2012 წლის 15 ივნისი.**

**№156-2ს**